2010 წელი, 14-20 ოქტომბერი
ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№30 (504) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

14 (ძვ.სტ. 1) ოქტომბერს საქართველოს ეკლესია დიდსასწაულობის სვეტიცხოველობას და იხსენიებს პირველ ქრისტიან შვვისა და დედოფლის - ძიროისა და ნანას, ასევე წმიდა სიდონიას

გვერდი 6-7

რეკომენდაციები საალმზრდელო პროცესის გასაუმჯობესებლად

სკოლამდელთა განათლების ინიციატივების მხარდამჭერი პროექტი მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო, ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი, ფინანსდება გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ.

გვერდი 2

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როდის რა ვასწავლოთ და როგორ

ადრეულ ასაკში ენის სწავლება ხელს უწყობს მოსწავლის საერთო – გონებრივ, ფსიქოემოციურ და სოციალურ განვითარებას;

გვერდი 3



გვერდი 9-10

მ
3

სკოლამდელი განათლება

რეკომენდაციები საალმზრდელო პროცესის გასაუმჯობესებლად

გვესაუბრება სკოლამდელთა განათლების ინიციატივების მხარდაჭერის პროექტის მენეჯერი **ანა ჯანელიძე**

სკოლამდელთა განათლების ინიციატივების მხარდამჭერი პროექტი მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო, ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ფინანსდება გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ.

სკოლამდელი განათლების ინიციატივების მხარდამჭერი პროექტის დაწყებამდე შეიქმნა „ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლებისა და განვითარების სტანდარტი“, რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების ეტაპებს 0-დან 6 წლამდე. იქ გაწერილია კონკრეტული ინდიკატორები, რა უნარებს უნდა ფლობდეს ამ ასაკის ბავშვი, ასევე კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები აღმზრდელთათვის, ამ შედეგს რომ მიაღწიონ. ეს სახელმძღვანელო, ისევე როგორც მეორე – „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფიზიკური გარემო“ უკვე დაიბეჭდა და უფასოდ გადაეცა ყველა სკოლამდელ სახელმწიფო დაწესებულებას, საქართველოს მასშტაბით.

მიმდინარე პროექტი ოთხ მიმართულებას მოიცავს:

პირველი არის სკოლამდელი განათლების პოლიტიკისა და დაფინანსების ანალიზი;

მეორე – სკოლამდელი განათლების სფეროს პროფესიონალთათვის დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოების შემუშავება;

მესამე – სასკოლო მზაობის კვლევა;

მეოთხე – სკოლამდელი განათლების ეტაპზე ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა.

რას მოიცავს თითოეული კომპონენტი?

პირველი – სკოლამდელი განათლების პოლიტიკისა და დაფინანსების კვლევა მოიცავს, ცენტრალურ დონეზე და ადგილობრივ დონეზე, განათლების პოლიტიკის მართვის ანალიზს, მართვის რა ტიპის მიდგომები არსებობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში, რომელი კანონები და დებულებები არეგულირებს სკოლამდელ განათლებას, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, ასევე, შევიმუშავებთ რეკომენდაციებს არსებული პრობლემების დაძლევისთვის.

გარდა ამისა, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ვაგროვებთ ინფორმაციას სკოლამდელი განათლების სფეროს დაფინანსების შესახებ, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, კერძოდ: დაფინანსების მოცულობა, მთლიანი და ჩაშლილი, ანუ ცალკეული კომპონენტების – კვება, პერსონალის ხელფასი და სხვ. ასევე შევისწავლით მშობლების შენატანს. ყველა მუნიციპალიტეტიდან ამომწურავ ინფორმაციას ვიღებთ და ვაანალიზებთ. ეს იქნება სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური კვლევა, რომლის საფუძველზეც შევიმუშავებთ რეკომენდაციებს.

რაც შეეხება **მეორე** მიმართულებას – სკოლამდელი განათლების სფეროს პროფესიონალთათვის დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოების შემუშავებას, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტები, „ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლებისა და განვითარების სტანდარტის“ საფუძველზე, მოამზადებენ სასწავლო გეგმას სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, რომელიც არ იქნება სავალდებულო, არამედ რეკომენდაციის სახე ექნება. ძირითადი აქცენტი გაკეთდება თანამედროვე მიდგომებზე ადრეული განვითარების მიმართ, ეს არის: შემოქმედებითი უნარების განვითარება, სწავლა კეთებით და თანამედროვე განათლების სხვა პრინციპები იქნება გათვალისწინებული. ასევე ვამზადებთ აღმზრდელთა დამხმარე სახელმძღვანელოს, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება: ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების თეორიული მიმოხილვა, სააღმზრდელო პროცესის მეთოდოლოგიურად გამართულად დაგეგმვა და პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებიც შეუძლიათ სააღმზრდელო პროცესში გამოიყენონ. ვმუშაობთ კიდევ რამდენიმე დოკუმენტზე, ესენია: **სკოლამდელი აღზრდის პროცესის შეფასების სისტემა**, რომლის გამოყენების შედეგად, აღმზრდელებს დამოუკიდებლად შეეძლებათ იმის შეფასება, რამდენად ეფექტურად და წარმატებულად მიმდინარეობს სააღმზრდელო პროცესი; **აღმზრდელთა ტრენინგ-მოდული**, რომელიც შეუძლიათ სატრენინგო ორგანიზაციებმა გამოიყენონ; სახელმძღვანელო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალისათვის – **მართვის სახელმძღვანელო**. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი უფასოდ გადაეცემა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, საქართველოს მასშტაბით.

მესამე მიმართულებით – სასკოლო მზაობა – მიმდინარე კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, რამდენად არიან მზად სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაძლევად და საერთოდ სკოლაში სწავლის დასაწყებად – ემოციურად, ფიზიკურად, გონებრივად, სოციალურად. ამის დასადგენად, საქართველოს მასშტაბით, ვატარებთ ეროვნულ კვლევას აღნიშნული ასაკის ბავშვებსა და მათ მშობლებზე. კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ და ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა ტიპისა და კატეგორიის ბავშვების სასკოლო მზაობა, მაგალითად: სოფელში მცხოვრები და ქალაქელი ბავშვები, ბიჭები და გოგონები, სხვადასხვა რეგიონის მაცხოვრებლები, სხვადასხვა სოციალური ფენისა და განათლების დონის ოჯახებიდან და ა.შ. ახლა საველე სამუშაოები მიმდინარეობს, ორ კვირაში დასრულდება, რის შემდეგაც გაანალიზდება და შეჯერდება კვლევის შედეგები. საბოლოო სურათი წლის ბოლოს გვექნება.

მეოთხე მიმართულება – ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა სკოლამდელი განათლების ეტაპზე. თბილისის სკოლამდელი აღზრდის 12 დაწესებულებაში, შარშან, არასამთავრობო ორგანიზაციამ – საქართველოს პორტიჯის ასოციაცია, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, დაიწყო ინკლუზიური განათლების დანერგვა, რაც იმას ნიშნავს, რომ გადამზადდნენ აღმზრდელები, შემუშავდა რეკომენდაციები და რჩევები, რაც მათ ინკლუზიური განათლების დანერგვაში დაეხმარებათ. ახლა, უკვე ჩვენი პროექტის ფარგლებში, ფინანსდება მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მომუშავე აღმზრდელებს, შეიმუშავონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სააღმზრდელო პროცესის შესაბამისად.

ეს არის ის ოთხი ძირითადი მიმართულება, რომელზეც მუშაობს სკოლამდელთა განათლების ინიციატივების მხარდამჭერი პროექტი. დეკემბრის ბოლოს პროექტზე მუშაობა დასრულდება და ყველა კომპონენტში მზად იქნება შედეგები, შესაბამისად, თითოეულ კომპონენტზე უფრო დეტალური საუბრის საშუალება გვექნება და საზოგადოებას პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლეგის შედეგებსაც გავაცნობთ.

ესაუბრა
ლალი თვალაგეიშვილი

ასოციაცია „ნერგის“ შესახებ

ა.ა.ი.პ. საქართველოს სკოლის, ბავშვთა სახლის და ბაგა-ბაღის ფსიქოლოგთა, ექიმთა და ექთანთა **ასოციაცია „ნერგი“** დაფუძნდა 2009 წლის 30 იანვარს მარტყოფის მე-2 საჯარო სკოლაში,მარტყოფის ბავშვთა სახლის ყოფილი ექიმის მიერ. მისი მიზანი გახლდათ, ერთი მხრივ, ზემოაღნიშნულ სპეციალისტთა ინტეგრაცია – კვალიფიკაციის ამაღლება, სკოლებსა და სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სიახლეების დანერგვა, პროექტების განხორციელება და, მეორე მხრივ, საქველმოქმედო საქმიანობა – სოციალურად დაუცველი გამორჩეულად ნიჭიერი ბავშვების ხელშეწყობა (ასოციაცია გამოდიოდა კიდეც, პრესით და რადიოთი, საქველმოქმედო განცხადებებით პროექტებზე: **„გაზარდე ნერგი!“**, **„აანთე ვარსკვლავი!“**, ბატონი **რეზო ჩხეიძის** და ქალბატონი **ქეთევან აბულაძის** მიერ „ნერგის“ სარეკლამო მიზნებისათვის სრულიად უანგაროდ დათმობილი ფრაზით, კინოფილმიდან „მაგდანას ლურჯა“: **„გულს ნუ გაიტეხ, სოფელი დიდია, ნუ გეშინია, შვილო!“**).

„ნერგი“ არაერთი ინიციატივის და პროექტის ავტორია: მან ჯერ კიდევ 2009 წლის მარტში მიმართა ინიციატივით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქართველოს სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სასწავლო კურსის დანერგვის შესახებ (იხ. **„კვირის ქრონიკა“**, №12, 2009 წ.); გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სასწავლო ცენტრს შესთავაზა პროექტი – სკოლების, ბაგა-ბაღების, ბავშვთა სახლების მედპერსონალისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ტრენინგების კურსისა და სახელმძღვანელოების შექმნის შესახებ; მიმართავს პრეზიდენტს და მთავრობას ინიციატივით საქართველოში **„ბებია-პაპების დღის“** დაწესების შესახებ; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართა მოხუცისა და მოხუცებულობის თემაზე მოსწავლეთა და სტუდენტთა შემოქმედებითი კონკურსის პროექტით; გარდაბნის რაიონის გამგეობას შესთავაზა პროექტი წოდების – **„საპატიო მარტყოფელი“** და 26 მარტს – დღესასწაულის – **„მარტყოფობა“** – დაწესების შესახებ.

ამჟამად **„ნერგი“** ახორციელებს ვრცელ პროექტს: **„მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს...“** პროექტი მიმართულია მოსწავლე ახალგაზრდობაში მოხუცისადმი პატივისცემის იდეის ჩანერგვის, საქართველოში სამთაობიანი ოჯახის ტრადიციის შენარჩუნების პროპაგანდის, სათანადო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისაკენ. პროექტი მრავალმხრივია და მოიცავს კულტურის და განათლების სისტემის ყველა სფეროს.

პროექტის ფარგლებში იგეგმება: ილუსტრირებული კრებულების გამოცემა: **„მოხუცი და მოხუცებულობა ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში, მხატვრობასა და ფოტოხელოვნებაში“; „...საბავშვო ლიტერატურასა და მუსიკაში“; „...მსოფლიო სიბრძნის საგანძურში“**; გამოფენის, მუსიკალურ-ლიტერატურული საღამოების მოწყობა; შემოქმედებითი კონკურსები – **„საუკეთესო ნაწარმოები მოხუცისა და მოხუცებულობის თემაზე“** – ლიტერატურაში, თეატრში, კინოში, მუსიკაში, მხატვრობაში, ფოტოხელოვნებაში, ტანსაცმლის დიზაინში, ხელოვნებათმცოდნეობაში (**ასოციაციამ „ნერგი“** მიმართა პროექტით შესაბამის შემოქმედებით კავშირებს); გერონტოლოგიაში, გერიატრიაში, ფსიქოლოგიას, სოციოლოგიასა და ფილოსოფიაში სამეცნიერო ნაშრომთა კონკურსი, კრებულის გამოცემა, სამეცნიერო კონფერენციები და ტრენინგების სისტემის დაწესება; ბროშურებისა და ბუკლეტების გამოცემა; ხანდაზმულთა თემატიკაზე ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსი; სოციალურ პროექტთა კონკურსი; ხანდაზმულთა თემატიკაზე ლიტერატურულ-სამეცნიერო და პრესის მასალების სრულყოფილი ბიბლიოგრაფიის გამოცემა, სამომავლოდ – საიტის დაარსება; სატელევიზიო გადაცემის პროექტი; მოხუცთა თვითშემოქმედების კრებული და გამოფენა; სპორტული ღონისძიებები.

იგეგმება **„ხანდაზმულთა კვირეულის“** ჩატარება, რომელზეც წარმოჩინდება **„ნერგის“** ყველა პროექტის შედეგი და დასრულდება გრანდიოზული ღონისძიებით. კვირეულის ფარგლებში, ჩაფიქრებულია ქართული და უცხოური ფილმების და სპექტაკლების რეტროსპექტივა.

ვიმედოვნებთ, **„ბებია-პაპების დღე“** დაწესდება და ხანდაზმულთა საკითხებისადმი მიძღვნილი კულტურულ-სამეცნიერო ღონისძიებები, **„კვირეული“** ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს, რაც ამ მნიშვნელოვანი სოციალური თემის საზოგადოებაში მუდმივი აქტუალობის შენარჩუნების გარანტი იქნება.

„ახალი განათლების“ 2010 წლის №28-ში მოწოდებულ იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **„ნერგი“** საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმთან ერთად ამზადებს ექსპოზიციას **„მოხუცის თემა ქართულ კინოსა და თეატრში“** (იგეგმება ფოტოალბომის გამოცემა და ვიდეოკოლაჟის დამზადება კომპაქტდისკების სახით); იქვე აცხადებდა მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებით კონკურსს – **„საუკეთესო ნამუშევარი მოხუცისა და მოხუცებულობის თემაზე“**, გამოფენის გახსნაზე გამარჯვებულთა დაჯილდოებით.

ПРОЕКТШИ ჩართვას ვთავაზობთ მოსწავლე ახალგაზრდობის რაიონულ სახლებს. მოგახსენებთ, რომ მასალები, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შეგიძლიათ შემოიტანოთ შემდეგ მისამართზე, 2010 წლის 15 დეკემბრამდე:

მარტყოფის №2 საჯარო სკოლა
ტელეფონი: 895 677 677; 890 22-36-78.
ელ-ფოსტა: tamarsh.nergi@mail.ru

მითითებულ სავარაუდო თემატიკას ემატება:

„მე ახლა 26 წლის ვარ“;
„სანამ დედა ცოცხალია, მოეფერეთ დედებს“;
„რა ვქნა, რომ ჩემზეც დაუთოვია...“ – სიჭაბუკის წარმავლობის განცდა;
„ვინც სიმარტოვეს დაუმეგობრდა...“;
„თხელი კვამლი ამოდის ორიოდე ბუხრიდან...“ – „ქვეყნის მართალი წყლული“ (მ. ლებანიძე) – დაცლილი სოფლების სევდა, სოფელში დარჩენილი ბებია-პაპები...

ასევე, „ახალი განათლების“ მკითხველს გთხოვთ, შეავსოთ ანკეტა (თქვენი გვარი, სახელი, ასაკი, მისამართი, პროფესია, ოჯახური მდგომარეობა) და უპასუხოთ კითხვაზე: **„ხართ თუ არა სამთაობიანი ოჯახის მომხრე? რატომ?“** პასუხები მოგვაწოდეთ ზემოაღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პროექტის ავტორი: ***თამარ გიორგის ასული ჭოჭიაშვილი***
ასოციაცია „ნერგის“ პრეზიდენტი

ასოციაცია „ნერგი“ ეძებს მხარდამჭერებს და სპონსორებს სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო სექტორში; პროექტზე „მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს...“ იცავს საავტორო უფლებებს.

ინგლისური ენა პირველ კლასში

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როდის რა ვასწავლოთ და როგორ

2010-11 სასწავლო წელს დაიწყო ახალი პროექტის „ინგლისური ენა პირველ კლასში“ პილოტირება. მოსამზადებელი პერიოდის სიმცირის მიუხედავად, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების ცენტრის ექსპერტებმა შეიმუშავეს ახალი სასწავლო გეგმა – სტანდარტი, რომლის საფუძველზეც მომზადდა სახელმძღვანელო. პილოტირების პროცესის პარალელურად, საზოგადოებაში არ წყდება მსჯელობა იმის შესახებ, რამდენად მიზანშეწონილია ადრეულ ასაკში უცხო ენის სწავლება და ხომ არ შეუშლის ეს ხელს მშობლიური ენის ათვისებას. ამ შეკითხვით მივმართეთ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამმართველოს უფროსს – **თამარ ჯაყელს** და ამავე ცენტრის უცხოური ენების ჯგუფის ხელმძღვანელს – **მარინა ჩხიკვაძეს**. გთავაზობთ მათ მოსაზრებებს. მომავალში გავესაუბრებით იმ პედაგოგებს, ვინც პილოტირებულ სკოლებში, პირველ კლასებში ინგლისურ ენას ასწავლიან და მათგან მოვისმენთ, თუ როგორ ართმევენ თავს პირველკლასელები უცხოური ენის შესწავლას.

თამარ ჯაყელი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამმართველოს უფროსი, პროექტის კოორდინატორი:

აღსანიშნავია, რომ მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს უცხოური ენის ადრეული სწავლება შემაფერხებლად მოქმედებს მშობლიური ენის ათვისებაზე, 60-იან წლებამდე ჩამოყალიბდა და ღრმად გაიდგა ფესვები საზოგადოებრივ ცნობიერებაში. უკვე ორმოცი წელია, ევროპის, ამერიკისა და შუა აზიის მრავალ ქვეყანაში ტარდება მრავალმხრივი კვლევები სწავლის პროცესში მშობლიური და უცხოური (მეორე) ენის ურთიერთქმედების დასადგენად. ამ გამოკვლევათა შედეგები ერთხმად ადასტურებს საწინააღმდეგოს – მშობლიური და უცხოური ენის სწავლება ორივე ენაში აუმჯობესებს შედეგებს. დავაზუსტებთ, რომ ამის აუცილებელი პირობაა პედაგოგიურად გამართული მიდგომების გამოყენება, განსაკუთრებით მაშინ, როცა უცხოური ენის სწავლება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ეხება.

ჩატარებული კვლევების ფონზე მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოექცა, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში, ლევ ვიგოტსკის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ენების ათვისებასთან დაკავშირებით. ვიგოტსკის მტკიცებით, მშობლიური ენის ათვისება და უცხოური ენის შესწავლისას მიმდინარე სიტყვიერი განვითარების პროცესები ერთსა და იმავე კლასს განეკუთვნება და, ამდენად, ეს პროცესები ურთიერთშემავსებელი და ურთთიერთგამამდიდრებელი პროცესებია, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის ენობრივი ცნობიერების განვითარებას. მოზარდი აცნობიერებს ენობრივ ფორმებს, აკვირდება და ადარებს ერთმანეთს ენობრივ მექანიზმებს, უფრო გაცნობიერებულად იყენებს ენას, როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტს.

რაც შეეხება ასაკს, მინდა გითხრათ, რომ უცხოური ენის სწავლება ნებისმიერი ასაკიდანაა შესაძლებელი. როცა უცხოური ენის სწავლებაზე ვსაუბრობთ, მთავარი კითხვაა არა – როდის ვასწავლოთ, არამედ – როდის რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ? მეთოდიკა და პედაგოგიური მიდგომები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც დაწყებითი საფეხურის მოწავლეებთან გვაქვს საქმე. არასწორმა მეთოდებმა შეიძლება უარყოფითი შედეგები გამოიღოს. ძალიან ხშირად მომყავს დიმიტრი უზნაძის სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი დამთრგუნველად იმოქმედებს მოზარდის ფსიქიკაზე, თუ სწავლას მხოლოდ აღმზრდელის მიზნების მიხედვით წარვმართავთ და სათანადო ანგარიშს არ გავუწევთ მოზარდის შინაგან შესაძლებლობათა განვითარების დონეს. სწორედ ამ აზრით ვამბობ, რომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როდის რა ვასწავლოთ და როგორ. მეთოდიკა უნდა დაეფუძნოს სათანადო ფსიქოპედაგოგიურ პრინციპებს.

I კლასის ინგლისური ენის საგნობრივი პროგრამა, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა, ითვალისწინებს პირველკლასელი მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს და შესაბამისად, მოთხოვნებიც მის შესაძლებლობებთანაა მისადაგებული. აქცენტი გადატანილია მოსმენის უნარის განვითარებაზე, ლექსიკური მარაგის დაგროვებაზე, ლექსების და სიმღერების დასწავლაზე და ფონოლოგიური უნარების განვითარებაზე. ფონოლოგიური უნარების ათვისება, ერთი მხრივ, სახალისო აქტივობებს უკავშირდება – ბავშვებს ძალიან უყვართ ბგერებთან თამაში, მეორე მხრივ, მოსწავლეს ამზადებს კითხვის უნარის დასაუფლებლად. მართლაც, იმისთვის, რომ მოსწავლემ კითხვა ისწავლოს, პირველ რიგში, უნდა გაიგოს ანბანის პრინციპი; ანბანის პრინციპის გასაგებად კი მან ჯერ უნდა შეძლოს სიტყვის ხმოვან ხატში მარცვლების აღქმა, ზეპირ მარცვლებში – ბგერების აღქმა, რომ შემდეგ შეძლოს სიტყვის გრაფიკული ხატის ერთეულების (ასოს, ასოთშენაერთის, მარცვლის) შესაბამის ხმოვან ერთეულებთან დაკავშირება. კითხვასთან დაკავშირებული მოთხოვნები, პირველი ორი წლის განმავლობაში, უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრებას და ამოცნობას პირდაპირი გზით, გაშიფვრის გარეშე. მოსწავლე იძენს ერთგვარ ლექსიკონს სიტყვათა ორთოგრაფიული ხატებისა, რომლებზე დაყრდნობითაც, მესამე კლასში თანდათანობით ისწავლის სიტყვების გაშიფვრას.

სიტყვის გაშიფვრა, ანუ ასოების ამოცნობა, მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან და ბგერების სიტყვად გაერთიანება – ამაზე პირველკლასელი ინტენსიურად ვარჯიშობს ქართულ ენაზე და დაუშვებელია ინგლისურ ენაზეც პარალელურად დავაწყებინოთ იგივე, მით უმეტეს, რომ ინგლისურში გაცილებით უფრო რთულადაა საქმე, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი ძალიან შორის წაგვიყვანს.

უცხოური ენის საგნობრივი პროგრამების მიხედვით კითხვისა და წერის უნარების სისტემური სწავლება მხოლოდ სწავლების მესამე წლიდან იწყება, მანამდე კი ხდება მოსწავლეთა მომზადება იმისთვის, რომ მათ უცხოურ ენაზე წერა-კითხვის სისტემური კურსი დაუბრკოლებლად დაძლიონ. პირველი კლასის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნები არც ენობრივ-კომუნიკაციური უნარების თვალსაზრისითაა მაღალი. მოგეხსენებათ, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ენას ნელა ითვისებენ. დავაზუსტებ, რომ უნდა გავმიჯნოთ ენის სწავლის ორი სრულიად განსხვავებული გზა და პირობა: ენის სწავლა ბუნებრივი გზით, როცა ბავშვი ცხოვრობს მშობლიური ენისაგან განსხვავებულ ენობრივ გარემოში და გაუცნობიერებლად ითვისებს მას. ასეთ შემთხვევაში, მოზარდი ენას სწრაფად ითვისებს, მაგრამ სულ სხვა ვითარებაა, როცა უცხოური ენის სწავლა სკოლის გარემოში მიმდინარეობს, როცა მოსწავლეს მხოლოდ გაკვეთილზე აქვს ამ ენასთან შეხება და ამავე დროს, მისი გამოყენების რეალურ საჭიროებას არ განიცდის.

აღსანიშნავია, რომ ევროპაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საბაზო საფეხურზე სწავლების მეორე წელს, ანუ მერვე კლასში, ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენციის თვალსაზრისით, ერთ დონეზე დგანან ის მოსწავლეები, რომლებიც დაწყებითი სკოლიდან სწავლობდნენ ენას და ისინი, რომლებმაც იმავე ენის სწავლა VII კლასიდან დაიწყეს. ამის მიზეზი ისაა, რომ 13-14 წლიდან მოსწავლეებს განვითარებული აქვთ ცნებითი, ანალიტიკური აზროვნება, რაც მძლავრი ინსტრუმენტია გრამატიკული სტრუქტურებისა და გრამატიკულ-ლოგიკური მიმართებების შესასწავლად. ამ უნარის ხელშეწყობით ისინი სწრაფი ტემპით იძენენ უცხოურ ენაზე ენობრივ-კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეს ეს სააზროვნო უნარები ჯერ არ აქვს მომწიფებული, ამიტომაც ძალიან უჭირს გრამატიკული კანონზომიერების გააზრება, ენის ფორმალური ასპექტების გაანალიზება. სწორედ ამის გამოა, რომ დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის სწავლება გაცილებით უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე მომდევნო საფეხურებზე.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ენის სწავლება დაწყებით საფეხურზე, ფუნქციურ-კომუნიკაციური ენის შესწავლის თვალსაზრისით, არ არის გამორჩეულად პროდუქტიული, სამაგიეროდ, მისი სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია სხვა თვალსაზრისით, კერძოდ, ადრეულ ასაკში ენის სწავლება ხელს უწყობს მოსწავლის საერთო – გონებრივ, ფსიქოემოციურ და სოციალურ განვითარებას; მოზარდი აღმოაჩენს ახალ სამყაროს, კულტურას, ვერბალურ ნიშანთა განსხვავებულ სისტემას, განსხვავებულ ბგერებსა და ინტონაციებს და ეს ყველაფერი ამდიდრებს მის გამოცდილებას, აფართოებს მის თვალსაწიერს და ავითარებს მის ენობრივ ცნობიერებას.

მეთოდიკის გარდა, კიდევ ერთი მნშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს უცხოური ენის წარმატებულ სწავლას. ეს გახლავთ მოსწავლის განწყობა შესასწავლი ენის მიმართ. უარყოფითი განწყობის შემთხვევაში, ძალიან დაბალია სწავლის მოტივაცია, რაც, ცხადია, უარყოფითად აისახება სწავლის შედეგებზეც. ამ მხრივ, ჩვენ არანაირი პრობლემა არ გვაქვს. დაწყებითი საფეხურის მოსწავლე, რასაკვირველია, მშობლების სურვილისა და განწყობის ზეგავლენას განიცდის. მშობელთა უმრავლესობა კი, დღეს, მოწადინებულია, რომ ბავშვმა, თუნდაც ადრეულ ასაკში, ინგლისური ენა შეისწავლოს; ასე რომ, მოზარდები მაღალი მოტივაციით მოეკიდებიან ინგლისური ენის შესწავლას, რაც წარმატებული სწავლის ერთგვარი საწინდარია.

უცხოური ენის პირველი კლასის სტანდარტზე დაყრდნობით შეიქმნა სახელმძღვანელო, რომელიც უფასოდ დაურიგდათ საპილოტე სკოლებს, ანუ იმ სკოლებს, რომლებშიც მიმდინარეობს ამ პროექტის პილოტირება. ვიმედოვნებთ, ნორმალური შედეგი გვექნება.

მარინა ჩხიკვაძე, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის უცხოური ენების ჯგუფის ხელმძღვანელი, პროექტის კონსულტანტი:

წელს დაიწყო პროექტის „ინგლისური ენა პირველ კლასში“ პილოტირება. მოგეხსენებათ, იმაზე, თუ როდის დაიწყოს მოსწავლემ უცხო ენის შესწავლა, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და, ტრადიციულად, ეს დავის საგანია. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ, რაც უფრო ადრეულ ასაკში იწყებს ბავშვი უცხო ენის შესწავლას, მით უკეთესია. მას ერთი უპირატესობა აქვს – მისი სამეტყველო აპარატი ძალიან მოქნილია და იოლად გამოთქვამს ახალ სიტყვებს. ინტონაციაც სწორად უყალიბდება, თუმცა, ამ შემთხვევაში, უმთავრესია, პედაგოგი მეტყველებდეს გამართულად და სწორი ინტონაციით. ახალ სამყაროსთან შეხება პატარებისთვის ყოველთვის სახალისო და საინტერესოა, კულტურის თვალსაზრისით კი – სასარგებლო. პრობლემა ის არის, თუ რა გარემოში სწავლობენ ისინი უცხოურ ენას და მთავარი აქცენტი აქ მეთოდიკაზეა. თუ უცხოური ენის სწავლება მეთოდურად სწორად წარიმართა, შედეგიც კარგი იქნება. სასურველია, საათების რაოდენობა იყოს მეტი, მაგრამ ამ პირობებშიც შეიძლება იმ მიზნის მიღწევა, რასაც ჩვენი პირველი კლასის სტანდარტი ითვალისწინებს. ეს არ არის რთული პროცედურა, ჩვენი მიზანი არ არის, რომ მოსწავლემ პირველივე კლასიდან დაიწყოს წერა-კითხვის სისტემური შესწავლა, უბრალოდ – ლექსიკური მარაგის შეძენა და გაღრმავება, რაც მას იმ სისტემური სწავლებისთვის მოამზადებს, რომელიც მესამე კლასიდან დაიწყება.

მასწავლებლის გზამკვლევში იმდენი გაკვეთილია აღწერილი, რამდენიც უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის განმავლობაში. პრაქტიკულად, ეს სასწავლო გეგმაა, შეთავაზებულია პირველი კლასის მოსწავლეებისთვის უცხო ენის სწავლების მეთოდიკა, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, რაც აგებულია აქტიურ ფიზიკურ დატვირთვაზე, გარდა ამისა, მოიცავს ასევე სიმღერებსა და იმ ვიზუალურ მასალას, რომლის გამოყენება სასწავლო პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი და შედეგიანია. სახელმძღვანელო დაეხმარება პირველკლასელს, რომ რასაც გაკვეთილზე მასწავლებელთან ერთად გაეცნობა, სახლში სურათებისა და ბარათების საშუალებით გაიხსენოს.

მოსწავლის წიგნი ძალიან კარგადაა შესრულებული, მაღალი ხარისხის ილუსტრაციებით. დასურათებულია და თითოეულ ნახატს სათანადო წარწერა ახლავს. წიგნის ბოლოს კი დართული აქვს ლოტო – ცალკე სიტყვები, ცალკე – ნახატები და მოსწავლემ თითოეული სიტყვა შესაბამის ნახატს უნდა დაუკავშიროს, არა იმ მიზნით, რომ ანბანი ისწავლოს და, შესაბამისად – კითხვა, არამედ აღიქვას მთლიანობაში როგორც ფოტოსურათი. თუ მოსწავლე, მთელი წლის განმავლობაში კონკრეტულ სურათს კონკრეტულ წარწერას სწორად უკავშირებს, იოლად უნდა მოახდინოს მათი თანხვედრა. ასეთი ფორმითაა მოცემული წერა-კითხვა. თემატიკა შერჩეულია ისეთი, რომელსაც ბავშვი ყოველდღიურად ხედავს და ისმენს. ველოდებით, რომ შედეგი კარგი იქნება.

პროექტი სატრენინგო მოდულის შექმნასაც ითვალისწინებდა იმ მასწავლებლებისთვის (როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან), ვინც ამ პროექტის პილოტირებაში მიიღებდა მონაწილეობას. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა, მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრთან ერთად, ბაზალეთზე, ტრენინგი ჩაატარა. სახელმძღვანელოს ავტორებმა პედაგოგებს თავიანთი ნამუშევარი წარუდგინეს და პრაქტიკულადაც აჩვენეს, როგორ უნდა იმუშაონ პირველკლასელებთან. ასე რომ, სანამ სასწავლო წელი დაიწყებოდა, პედაგოგები საფუძვლიანად მოემზადნენ და ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. ბევრი მათგანი დამწყები მასწავლებელია, მათთვის ეს ტრენინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან პირველ კლასში სწავლება ძალიან სპეციფიკურია და საგანმანათლებლო აქცენტებიც სხვადასხვაგვარია. როდესაც სტანდარტში არის მიმართულება – წერა-კითხვა, ეს პედაგოგებში გარკვეულ შიშს იწვევს, ბევრს ჰგონია, რომ მოსწავლემ პირდაპირ უნდა დაიწყოს კითხვა. არადა, მნიშვნელოვანია, პირველკლასელმა ისწავლოს სიტყვის ვიზუალურად აღქმა მთლიანობაში. ვფიქრობთ, ეს მეთოდი გაამართლებს, თუმცა ჯერ შედეგებზე საუბარი ადრეა.

ამ სიახლის მოსამზადებლად ძალიან მცირე დრო იყო. ამის მიუხედავად, დიდი სამუშაო შესრულდა – სახელმძღვანელოს ავტორებმა, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დახმარებით, სერიოზულად იმუშავეს სახელმძღვანელოს შექმნაზე, ცენტრის თანამშრომლებმა კი – სტანდარტზე. სახელმძღვანელოს ავტორები არიან: **ქეთევან ჯაყელი, ნინო ხოსროშვილი, ნინო გურგენიძე**. მათ გავლილი აქვთ ხარისხიანი ტრენინგები უცხოელ ექსპერტებთან, ასევე ადრეულ ასაკში სწავლების კურსები, ონლაინრეჟიმში. სახელმძღვანელო იმდენად ეფექტურია, რომ ბევრად გააიოლებს ამ სიახლის დანერგვას სკოლებში. იმედი გვაქვს, ოპტიმალურ შედეგს მივიღებთ.

ესაუბრა
ლალი თვალაგეიშვილი

საგანმანათლებლო კერა

ქუთაისის კლასიკური გიმნაზია

ქუთაისის ცენტრი – ასე გამოიყურებოდა ვაჟთა კლასიკური გიმნაზია აკაკის დროს

კლასიკური განათლების სისტემა, რომელიც აღორძინების ეპოქის პირმშოა, თავისთავად პროგრესული მოვლენა იყო. ეს სისტემა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი რადიკალური ძვრების შედეგია. მრეწველობის, ვაჭრობისა და ზღვაოსნობის განვითარებამ ხელი შეუწყო მეცნიერების ისეთი დარგების აღორძინებას, როგორებიცაა: მათემატიკა, ასტრონომია, მექანიკა და გეოგრაფია. ანტიკური კულტურით დაინტერესების გამო საჭირო გახდა ბერძნული და ლათინური ენების ცოდნაც.

1830 წლის დეკემბერში, ქუთაისში, სამაზრო სასწავლებელი გაიხსნა, რომელიც პირველი სახელმწიფო სკოლა იყო იმერეთში. გახსნამდე, ჯერ კიდევ 1829 წლის 15 იანვარს, სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა ტაგანროგის სამაზრო სასწავლებლის მასწავლებელი ათანასე დიმიტრის ძე ნაიტაკი. სასწავლებლის გახსნამდე იგი მუშაობდა იმერეთის დროებითი მმართველობის კანცელარიაში. სამაზრო სასწავლებელი გაიხსნა ყველა იმ დებულების საფუძველზე, რაც 1825 წლის კანონით იყო გათვალისწინებული. მისი მიზანი იყო ყველა მდგომარეობის ადამიანების, განსაკუთრებით ხელოვნების, ვაჭრების და ქალაქის სხვა მეშჩანთა შვილებისათვის მიეცა, კარგ ზნეობრივ განვითარებასთან ერთად, ცხოვრების საჭირო ცოდნა. სამაზრო სკოლაში მხოლოდ ვაჟები სწავლობდნენ. სწავლება იყო სამწლიანი, სამი კლასით. თუ კლასში თავს მოიყრიდა 40 მოწაფე, გაიყოფოდა ორად, ზოგჯერ კი სამ ჯგუფადაც. დებულების ეს მუხლი დასაწყისიდან მკაცრად სრულდებოდა, მაგრამ ეს მაშინ, როცა 1002-ზე მეტი ბავშვი მოგროვდა. შემდეგ კლასებშიც მათი რიცხვი გამრავლდა. ისინი 5 განყოფილებად დააჯგუფეს, დღეში 4 საათს მეცადინეობდნენ. კვირა დღე და სადღესასწაულო დღეები გამოსასვლელ დღეებად ითვლებოდა. სასკოლო ასაკი განისაზღვრებოდა 8-11 წლით.

ორმოციანი წლების დასაწყისში სკოლაში 180 მოსწავლე იყო. პედაგოგიური პერსონალი ერთი ზედამხედველისა და სამი მასწავლებლისაგან შედგებოდა. ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული გრამატიკა, გეოგრაფია, არითმეტიკა, გეომეტრია, სუფთა წერა, ხატვა, ხაზვა, ქართული და სომხური ენები. სამაზრო სასწავლებელი ბავშვებს დაწყებით განათლებას აძლევდა, ქუთაისის სამაზრო სასწავლებელმა ზუსტად 20 წელს იარსება და იქცა ბაზად კლასიკური გიმნაზიისათვის.

1845 წლის დეკემბერში ჩატარდა ადმინისტრაციული რეფორმა. კავკასია ხუთ გუბერნიად გაიყო. შეიქმნა ქუთაისის გუბერნია და იმერეთის ყოფილი სამეფოს ტერიტორია, ცხადია, მის ფარგლებში მოექცა. საგუბერნიო ქალაქად ქუთაისი გამოცხადდა.

1850 წლის თებერვალში სამაზრო სასწავლებელი, ქუთაისის გუბერნიის შექმნასთან დაკავშირებით, გიმნაზიად გადაკეთდა. 1878-79 სასწავლო წლიდან კლასიკური ენების, ლათინურისა და ძველბერძნულის სწავლების შემოღების გამო სასწავლებელს კლასიკური გიმნაზია ეწოდა.

ახალდაარსებულ გიმნაზიას საკუთარი შენობა არ გააჩნდა, რის გამოც სასწავლებლის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, კერძო პირთა საცხოვრებელი სახლები დაექირავებინა. „ოქროს ჩარდახის“ შენობაში მოთავსებული იყო გიმნაზიის ინსპექტორის საცხოვრებელი სახლი. „აქვე ახლოს“ – კონკრეტულად ადგილი მითითებული არ არის, საარქივო მასალებში მოიხსენიება აბანოც.

კლასიკური გიმნაზიის შენობის ძველი ნაწილი აშენებული იყო სასწავლო უწყების მიერ 1849 წელს, რომლის გეგმაც ამავე უწყებამ შეადგინა, ხოლო საქართველოს მთავარმართებელმა ვორონცოვმა დაუყონებლივ დაამტკიცა.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თხოვნით, სამეგრელოს მთავარმა დადიანმა და თავადმა მ. თუმანიშვილმა, ქუთაისის გიმნაზიის შენობის ასაგებად, დათმეს საკუთარი მიწის ნაკვეთი იმერეთის მეფეების ყოფილი სასახლის „ოქროს ჩარდახის“ მიდამოებში, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე.

იქ, სადაც გეგმის მიხედვით გიმნაზიის შენობა უნდა აგებულიყო, რამდენიმე სახელმწიფო და კერძო შენობა იდგა. 1871-57 წლებში ყველა ეს ნაგებობა აიღეს და ადგილი მოასუფთავეს. 60-იანი წლებიდან მოყოლებული, მანამდეც ბევრჯერ დაისვა გიმნაზიის შენობის აგების საკითხი, მაგრამ იმჟამად ყველა ეს ცდა მარცხით დამთავრდა. სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა გიმნაზიის შენობის სივიწროვე. მოწაფეთა რიცხვი კატასტროფულად იზრდებოდა.

აზრთა სხვადასხვაობა კიდევ უფრო აბრკოლებდა შენობის აგების საკითხს. იყო მოსაზრება, ეს შენობა 116 ათას მანეთად გაყიდულიყო და ქალაქის მმართველობის მიერ შემოთავაზებულ ადგილებში („ფერმის ბაღთან“, „საღორიის ტყესთან, „სამეფო სახლთან“) აეშენებინათ ახალი შენობა. ეს ადგილი მოწაფეთა მშობლებმა დაიწუნეს სხვადასხვა მოსაზრებების გამო.

მხოლოდ 1899 წელს, გიმნაზიის დაარსებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის პერიოდში, გადაწყდა ძველი კორპუსისათვის მიეშენებინათ ახალი ნაგებობა. მშენებლობა 1900-1902 წლებში მიმდინარეობდა.

გიმნაზიის შენობა შედგებოდა მთავარი კორპუსისაგან, ფლიგელისა და ფარდულისაგან. შენობა მყარი ძვირფასი ქვისაგან აშენდა. გათვალისწინებული იყო 200 მოსწავლისათვის. 2 ნაგებობას ჰქონდა საკლასო ოთახები, სააქტო დარბაზი, საძილე და საყოფაცხოვრებო ოთახები – გიმნაზიასთან არსებული პანსიონისათვის, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და სხვა საჭირო სათავსოები.

დიდი ხნის განმავლობაში ქუთაისში საშუალო სასწავლებლად მხოლოდ კლასიკური გიმნაზია ითვლებოდა, ამის გამოც ჰქონდა მას თავისებური ხიბლი. მხოლოდ ეს სასწავლებელი იძლეოდა უნივერსიტეტში უგამოცდოდ შესვლის უფლებას, მართალია, მოგვიანებით რეალური სასწავლებელიც გაიხსნა, მაგრამ იქ სწავლადამთავრებულს, ისე როგორც სასულიერო სემინარიადამთავრებულს, მხოლოდ ვარშავის და დორპატის (ტარტუ) უნივერსიტეტში იღებდნენ, ამიტომ დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდა კადრი ყველაზე მეტად მას აწყდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აქ შემოღებული სწავლა-აღზრდის სისტემა სულიერად და, არც თუ ისე იშვიათად, ფიზიკურადაც ამახინჯებდა ახალგაზრდებს. ამის დამადასტურებელი უამრავი დოკუმენტური მასალა არსებობს, რომელთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა გამოჩენილ ადამიანთა მოგონებები, მაგალითად, აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“, ნიკო ნიკოლაძის „წარსულიდან“, გიორგი წერეთლის „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, გიორგი ლასხიშვილის „მემუარები“. მშობლები აპროტესტებდნენ ცენტრიდან მოშორებით შენობის აგებას. მე-19 საუკუნის ბოლომდე ქუთაისის გიმნაზია ერთადერთი იყო მთელ გუბერნიაში, სადაც 200-ის ნაცვლად 600 ბავშვი სწავლობდა. ამ ფაქტს ადასტურებს მაშინდელი პრესა, მაგალითად, გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, აგრეთვე, ნიკო მარის „ავტობიოგრაფია“, ალექსანდრე ჯანელიძის „მოგონებები“, ილია ჩიქოვანის „მოგონებები“ და მრავალი სხვ. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. კლასიკური გიმნაზიის ცხოვრების შესახებ საყურადღებო ფაქტებს გვაწვდის ჩანაწერები იმ ცნობილი პიროვნებებისა, რომლებიც იქაური ყოფაცხოვრებისა და სწავლა-განათლების უწყვეტი პროცესის თვითმხილველნი იყვნენ.

აკაკი წერეთელმა მემუარების სტილში წარმოგვიდგინა შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოები „ჩემი თავგადასავალი“, რომელიც ცოცხალი სურათებითაა სავსე. იგი კინოფილმივით ხატავს ჩვენ თვალწინ უამრავ ფერს, ხასიათსა და გრძნობას.

გიმნაზია, ძირითადად, ერთი მოსამზადებელი და რვა გიმნაზიური კლასისგან შედგებოდა, მაგრამ პირველ კლასამდე ბავშვს რამდენიმე წელიწადი მოსამზადებელ განყოფილებაში უნდა ესწავლა. მოსამზადებელი განყოფილების გავლა შეიძლებოდა კლასიკურ გიმნაზიაში. აგრეთვე, მაღალი დონის მოსამზადებელი განყოფილებები ჰქონდა სასულიერო სასწავლებელს, საქალაქო სასწავლებელს, სათავადაზნაურო სასწავლებელს. მოსამზადებელი განყოფილება ოთხწლიანი იყო. ოთხი წელინადი თავდადებული სწავლა ელოდა ბავშვს, კლასიკური გიმნაზიის პირველ კლასამდე. კლასიკურ გიმნაზიას მხოლოდ ერთი უფროსი განყოფილება ჰქონდა. იქ მხოლოდ გამოცდის ჩაბარების შემდეგ მოხვდებოდა ახალგაზრდა. რუსულში კარგად მომზადება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, რადგან გიმნაზიაშიც ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლებოდა. მისაღები ადგილი მცირე იყო, კონკურსი – ბევრად დიდი, ამიტომ ამ პირობებმა პროფესიული მომმზადებლებიც გააჩინა. ეს ჯერ კერძო პირების მეშვეობით ხდებოდა, შემდეგ დაარსეს საგანგებო სკოლა. ერთ-ერთი ასეთი იოსებ ოცხელის სკოლა იყო. მას შესანიშნავი სპეციალისტები ჰყავდა და წესრიგიან სკოლადაც იცნობდა ყველა, ვისაც მასთან რაიმე შეხება ჰქონდა. თუმცა, კლასიკური გიმნაზიისათვის ან რეალური სასწავლებლისათვის ქართული თითქმის არ იყო საჭირო, აქ კი დიდი ყურადრება ექცეოდა ქართულ ენაზე სწავლებას.

ასე რომ, თუ მხედველობაში მივიღებთ გიმნაზიისათვის მზადებასაც, გიმნაზიის დასრულებას 10-12 წელი სჭირდებოდა.

მოსამზადებელ კლასში საღვთო სჯულს, რუსულს და არითმეტიკას ასწავლიდნენ. პირველი კლასიდანვე იწყებოდა სხვა საგნებიც, კერძოდ – ლათინური ენა. ამ საგანს ყოველდღე ერთი საათი ეთმობოდა, ბევრად მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა საგანს, გარდა რუსულისა, რომელიც სწავლების ენაც იყო. მესამე კლასიდან იწყებოდა ბერძნულის სწავლება. ამიტომაც ეწოდებოდა გიმნაზიას კლასიკური. ისწავლებოდა, აგრეთვე: გეოგრაფია, ისტორია, არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, რუსული ენა და ლიტერატურა ყველა კლასში, ფიზიკა – მეექვსე კლასიდან, ბოლო კლასში დაუმატეს სამართალმცოდნეობაც. ამას ემატებოდა ახალი ენები: ფრანგული და გერმანული. აქედან ერთი სავალდებულო იყო, მეორე – სურვილისამებრ. ხატვა და გიმნასტიკა მხოლოდ უმცროს ჯგუფებში იყო, ქიმია და ბუნებისმეტყველების არც ერთი საგანი არ ისწავლებოდა. რაც შეეხება ქართულს, მას პირველ-მეორე კლასში გაივლიდა მოსწავლე, კვირაში მხოლოდ ორი გაკვეთილი ეთმობოდა, გაკვეთილების ბოლოს, მაშინ, როცა მოსწავლის აქტიურობა დაქვეითებულია. ქართულს დეკანოზი გიგაური ასწავლიდა. თუ მოწაფე გაბმულად ჩაიკითხავდა, ფრიადს დაიმსახურებდა, მეტს არავინ ითხოვდა. ქართველი მხოლოდ სამი ან ოთხი მასწავლებელი თუ იყო მთელ გიმნაზიაში.

კლასიკურ გიმნაზიაში 1892 წელს 494 მოსწავლე სწავლობდა, 1895 წელს – 520, 1894 წელს – 660, 1895 წელს – 557, 1896 წელს – 593, 1897 წელს – 611, 1898 წელს – 663, 1900 წელს – 689, 1901 წელს – 685, 1903 წელს – 706, 1905 წელს – 299, 1907 წელს – 698, 1908 წელს – 657, 1909 წელს – 676, 1911 წელს – 679, 1912 წელს – 705, 1913 წელს – 728.

სხვადასხვა დროს კლასიკური გიმნაზიის დირექტორები იყვნენ: ჩებიში, სტაროსელსკი, გლუშაკოვი, გორბუნოვი.

კლასიდან კლასში გადასვლისას რამდენიმე ბავშვს „ქების ფურცელს“ აძლევდნენ, პირველი ან მეორე ხარისხისას. დასაწყისში ეს ფურცლები კარგად იყო გაფორმებული, შემდეგში კი მხოლოდ საჯარო გამოცხადებას სჯერდებოდნენ. თავიდან საჩუქრად წიგნსაც უმატებდნენ, შემდეგ საჩუქარიც გაქრა და ე. წ. წამახალისებელი დოკუმენტი თანდათან გაუბრალოვდა.

კლასიკურ გიმნაზიაში წლების განმავლობაში სწავლობდნენ სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და რევოლუციური მოძრაობის საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებები: აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი, დიმიტრი ნაზარიშვილი, გიორგი ზდანოვიჩი, ალექსანდრე წულუკიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, სილოვან ხუნდაძე, იოსებ ოცხელი, იუსტინე ჯანელიძე, დიმიტრი უზნაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, დავით კაკაბაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, კოტე მესხი, შალვა ღამბაშიძე, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ხორავა, ვლადიმერ მაიაკოვსკი და მრავალი სხვ.

ამ გვართა ჩამოთვლა გვარწმუნებს, რომ გიმნაზიას მნიშვნელოვანი სამსახური გაუწევია ქართული ეროვნული კულტურისათვის. აქ აღზრდილი ადამიანები თავიანთი მრავალმხრივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობით ყურადღებას იპყრობდნენ მთელ საქართველოში. ისინი ცნობილი მწერლები, პედაგოგები, მეცნიერები და თითქმის ყველა დარგის საუკეთესო მუშაკები იყვნენ. თვითმპყრობელობის შავბნელ პერიოდში, როდესაც ქართული კულტურა აბუჩად იყო აგდებული, გიმნაზიაში სწავლის წლებიდანვე იღვწოდნენ თავიანთი დამცირებული და უფლებააყრილი ხალხის სამსახურისათვის, იბრძოდნენ თავიანთი მშობლიური ენის უფლებებში აღდგენისათვის. ამ მხრივ, კლასიკურ გიმნაზიას ღირსეული ადგილი უჭირავს სახალხო განათლების ისტორიაში და, წლების განმავლობაში, დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა.

მოამზადა
ლია გაგუნიამ
ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ახალი და უახლესი განყოფილების კოორდინატორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

მასწავლებელთა სერტიფიცირება

სასერტიფიკაციო გამოცდას არაერთგვაროვანი შეფასება ახლავს

ნანა გომარელი,
თბილისის №161 საჯარო სკოლის მასწავლებელი:

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით, 2014 წლიდან ყველა მასწავლებელი სერტიფიცირებული იქნება. ეს დროის მოთხოვნაა. სასერტიფიკაციო გამოცდები ხელს შეუწყობს იმას, რომ მასწავლებელი მუდმივად ახლის ძიებაში იყოს და იმაღლებდეს პროფესიულ დონეს.

წელს პირველად ჩატარდა პედაგოგთა პროფესიული უნარების შემფასებელი გამოცდა. შედეგები არც თუ ისე სახარბიელო აღმოჩნდა. ამის მიზეზებზე, ალბათ, სპეციალისტები იმსჯელებენ. მე მხოლოდ ჩემს პირად შეხედულებებს მოგახსენებთ ტესტთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ტესტი სტრუქტურულად კარგადაა აგებული. კითხვები იმგვარადაა ფორმირებული, რომ მაქსიმალურად დაეხმაროს აპლიკანტს ცოდნის გამოვლენაში. რაც მთავარია, ტესტი არ არის დამაბნეველი, ბუნდოვანი და შედგენილია გამოცდისთვის მოსამზადებელ ლიტერატურაზე დაყრდნობით.

არჩევითპასუხიანი დავალებები (10), რომელიც ამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია მასწავლებელს სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, ისეა მონოდებული, რომ პრაქტიკოსი მასწავლებელი იოლად გაართმევს თავს. შედარებით რთულია განვითარებისა და სწავლების თეორიების შემფასებელი დავალებები (7 არჩევითპასუხიანი). ამ დავალებების შესრულებას მასწავლებელი მხოლოდ გამოცდილებისა და ინტუიციის წყალობით ვერ შეძლებს. შეძენილი ცოდნა კი, გამოცდის წარმატებით ჩაბარების გარდა, აუცილებლად გამოადგება სასწავლო პროცესის დროს.

ჩემი აზრით, ტესტში გადასახედია ღიადაბოლოებიანი დავალებების რაოდენობა. კარგი იქნებოდა მათი შემცირება დახურული კითხვების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, რისი წყალობითაც შეფასების შედეგები ყველა შემთხვევაში იდენტური იქნებოდა. იმ რაოდენობის ღია კითხვების შემთხვევაში კი, რაც მოცემულ ტესტში გვაქვს, გამსწორებელთა სუბიექტური ფაქტორის გამორიცხვა ძნელია. სინამდვილეში ასეც მოხდა. კარგია, რომ აპელაციის შედეგად ეს უზუსტობანი გასწორდა.

ტესტირება ასევე ითვალისწინებს, შეამოწმოს, თუ რამდენად იცნობს მასწავლებელი საკანონმდებლო აქტებს და შეუძლია თუ არა მათი პრაქტიკაში გამოყენება. ვფიქრობ, თუ აპლიკანტი სწორად მიუთითებს „ჭეშმარიტია“ – „მცდარია“ და დართული კომენტარიდან ჩანს, რომ მან იცის მოცემული საკანონმდებლო აქტი და ისიც, თუ როგორ მოიქცევა მოცემულ სიტუაციაში, მისი პასუხი ნული ქულით არ უნდა შეფასდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ზედმიწევნით სრულად ვერ ჩაწერა ეს ნორმატიული აქტი.

სამწუხაროდ, ასეთი შეფასებები გაკეთდა.

გამოცდა პირველად ჩატარდა და ხარვეზებიც მოსალოდნელი იყო. მთლიანობაში ტესტი მაღალკვალიფიციურ დონეზეა შედგენილი. იმედია, ტესტის შემდგენლები შენიშვნებს გაითვალისწინებენ და მომავალ წელს უფრო სრულყოფილ ტესტს შემოგვთავაზებენ.

ზაქარია ქიტიაშვილი
სკოლის „ჩვენი სკოლა“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მასწავლებლის მომზადების და დახელოვნების საკითხი თანამედროვე ეპოქაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და, ამავდროულად, სათუთი თემაა, რომლის ფორმისა და შინაარსის განსაზღვრა და სისტემურ ჩარჩოებში მოქცევა ურთულეს, საპასუხისმგებლო შრომას მოითხოვს. სხვადასხვა ქვეყანაში მასწავლებლის პროფესიონალიზმის გაზომვის სხვადასხვანაირი ხედვაა, თუმც, არც ერთ ქვეყანაში ამის სრულყოფილი მოდელი არ არსებობს, რადგან თითქმის შეუძლებელია ამგვარი დინამიური და ცვალებადი პროფესიის ხარისხის ვალიდურად განსაზღვრა.

ჩვენს ქვეყანაში სიტყვას „მასწავლებელი“ მოწიწებითა და პატივისცემით წარმოთქვამდნენ და ამ პროფესიის ადამიანებს მოძღვრად, მოძღვართ-მოძღვრადაც მოიხსენიებდნენ. უდავოა ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი, რადგან ამ წოდების უკან ქართველთათვის ბევრი სასიქადულო მოღვაწის სახელი და გვარი დგას. ბუნებრივია, მოთხოვნები პედაგოგის პროფესიისადმი ყოველთვის მაღალი იყო, ვინაიდან ერი მას თავის მომავალს ანდობდა. ასეთივე მაღალი მოთხოვნებია თანამედროვე მასწავლებლის მიმართ, რომელსაც 21-ე საუკუნეში უამრავი ახალი გამოწვევისა და მეთოდიკური ხასიათის სიახლის ცოდნა და გააზრება სჭირდება. ეს კი, თავის მხრივ, მასწავლებლისგან დიდ ერუდიციასა და პროფესიული ზრდის შინაგან მოტივაციას მოითხოვს. სამწუხაროდ, ამჟამად მასწავლებლობა პრესტიჟული პროფესიების რიცხვში აღარ მოიხსენიება. ამის დასტურად სხვადასხვა უნივერსიტეტში მასწავლებელთა განათლების მოდულზე არსებულ სტუდენტთა რაოდენობაც მეტყველებს. ეს საკითხი მეტად პრობლემურია და, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან. მიუხედავად რეგულირებად დარგად გამოცხადებისა, სურათი იგივეა, საქართველოში ახალ თაობას მასწავლებლობა არ უნდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა ამ პროფესიის წამოწევის და საზოგადოებაში ნდობის მოპოვების საჭიროების დღის წესრიგში დასმა, რაც სახელმწიფოს განათლების პოლიტიკის მხრიდან მიზანმიმართული და თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას განაპირობებს. ამ პოლიტიკის გონივრულად წარმართვის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები, რომლის მიზანს, ჩვენი აზრით, მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟულობის გაზრდა და მათი პედაგოგიური ხელოვნების ჯეროვნად შეფასება და დაფასება წარმოადგენს. ცალკე გამოსაყოფი და აღნიშვნის ღირსია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაწეული უზარმაზარი შრომა, რომელიც უშუალოდ ტესტის შედგენას უძღოდა წინ. საქართველოში ამგვარი პრაქტიკა არ არსებობდა, რაც განსაკუთრებულ სირთულეს უქმნიდა ტესტის შემდგენლებს. აღსანიშნავია, რომ სერტიფიცირების უშუალო პროცესამდე ტესტმა მრავალჯერ გაიარა პილოტირება, დაიხვეწა და შესაბამისი ფორმა მიიღო. მიუხედავად ამისა, სასერტიფიკაციო გამოცდას არაერთგვაროვანი შეფასება ახლავს. იოლია განაწყენებულის პოზიციიდან მასზე აუგის თქმა, არავალიდურად მოხსენიება და უაზროდ შედგენილის, მასწავლებელთა წინააღმდეგ მოფიქრებული სადამსჯელო ღონისძიების იარლიყის მიკერება (ამგვარი შეფასებები ხშირია მასწავლებელთა საზოგადოებაში სასერტიფიკაციო გამოცდებზე მსჯელობის დროს – ავტ.). ჩვენ ღრმად გვწამს, რომ პირველები სწორედ ტესტის შემდგენლები იქნებიან არგუმენტირებული, პროფესიული ხასიათის შენიშვნების მოსმენის მოსურნენი. უშინაარსო მსჯელობა და ქილიკი კი არც საქმეს შველის და არც სწორ ტონად ჩაითვლება.

ახლა შევეხოთ იმ ხედვებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც აპლიკანტის ამპლუაში ყოფნის დროს გაგვიჩნდა. განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოსამზადებლად გამოცემულ კრებულში აღწერილი დავალებების მსგავსება საგამოცდო ტესტში მოცემულ საკითხებთან, რაც მნიშვნელოვანწილად უწყობდა ხელს აპლიკანტთა მიერ სამუშაოს შესასრულებლად მოცემული დროის გონივრულად განაწილებას. ტესტის სტრუქტურა და შინაარსი სავსებით შეესატყვისებოდა მოწოდებულ დასამუშავებელი ლიტერატურის ნუსხასა და რეკომენდაციებს. კითხვათა ფორმულირების სწორი მანერა კი იძლეოდა საშუალებას, თეორიული ცოდნის არქონის პირობებში, მასწავლებელი დაყრდნობოდა გამოცდილებას, პროფესიულ ალღოს და სწორად გაეცა პასუხი როგორც არჩევითპასუხიანი, ისე ღია კითხვებისათვის.

იმედია, ზემოაღნიშნული მოსაზრებები არ განიხილება, როგორც მიზანმიმართული გუნდრუკის კმევა სასერტიფიკაციო გამოცდების მესვეურთადმი. ესაა ხედვა, რომელიც შეგვექმნა სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ. არაა გასაკვირი, რომ ჩვენს დამოკიდებულებებს უამრავი პედაგოგი არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ ტესტი მაღალ სტანდარტზე არის გათვლილი და არ შეესაბამება თანამედროვე პედაგოგთა რეალურ ცოდნის დონესა და მზაობას. მათი პრეტენზია, რა თქმა უნდა, არაა საფუძველს მოკლებული, ეყრდნობა რა სერტიფიცირების შედეგებს, რომელიც არცთუ ისე სახარბიელო იყო. ეს არგუმენტი საკმაოდ ძლიერია და, ვფიქრობთ, გამომდინარე საკითხის აქტუალურობიდან, საჭიროებს შესაბამისი უწყებიდან პასუხის გაცემას. თუმც, ამავდროულად, მასწავლებელმა უნდა გაითავისოს, რომ მას უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია ქვეყნის წინაშე და მისი პროფესიული ზრდა პირდაპირპროპორციულია მომავალი თაობის კეთილდღეობისა.

დასასრულ, ვიმედოვნებთ, რომ სასერტიფიკაციო ტესტზე მუშაობა გაგრძელდება, დაიხვეწება მისი სტრუქტურა და შინაარსი და შედეგებიც უფრო მეტად იმედისმომცემი იქნება, ვიდრე პირველ ჯერზე.

ინფორმაცია

„მე ომბუდსმენი“

12 ოქტომბერს, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში, გაიმართა ვებთამაშის – კონკურსი ახალგაზრდებისათვის „მე ომბუდსმენი“ – გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი. კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და საქართველოს სახალხო დამცველმა **გიორგი ტუღუშმა** დააჯილდოვეს.

კონკურსი „მე ომბუდსმენი“ სახალხო დამცველის ორგანიზებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ დაფინანსებით ჩატარდა და მასში 13-18 წლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. კონკურსის მიზანი იყო ახალგაზრდებში სამოქალაქო განათლების დონის ამაღლება. „მე ომბუდსმენი“. კონკურსი დაფუძნებული იყო ქსელურ ტექნოლოგიაზე და ინტერნეტის საშუალებით განხორციელდა. სახალხო დამცველის დაკვეთით, 2010 წლის აპრილ-მაისში, კომპანია „პიქსელმა“ კონკურსის ჩასატარებლად სპეციალური პროგრამული მოდული დაამზადა, რომელიც სახალხო დამცველის ვებგვერდზეა ინტეგრირებული. „მე ომბუდსმენის“ საინფორმაციო კამპანია 2010 წლის მაისში დაიწყო: სკოლებში გავრცელდა პლაკატები და ინფორმაცია რადიო, ბეჭდური და ელექტრონული მედიის საშუალებით.

კონკურსი „მე ომბუდსმენი – 2010“ სამი რაუნდისგან შედგებოდა. მასში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 700 გუნდის 2100 მოსწავლე მონაწილეობდა. ფინალურ რაუნდში 10 გუნდი გავიდა, საიდანაც საბოლოოდ გამარჯვებული სამი გუნდი გამოვლინდა. დიმიტრი შაშკინმა და გიორგი ტუღუშმა გამარჯვებული მოსწავლეები სოლიდური პრიზებით დააჯილდოვეს.

პირველ ადგილზე გავიდა გუნდი „ეგრისი“ – **ანა კლდიაშვილი** და **ირენა ბაბუნაშვილი** (ქუთაისის 30-ე საჯარო სკოლა); მეორე ადგილი მოიპოვა გუნდმა „მსჯავრი“ – **მერი ჩაჩავა** და **მარი კუხიანიძე** (ქუთაისის 37-ე საჯარო სკოლა); მესამე ადგილი – „სალუსმა“ – **ირმა ჭიღლაძე** და **გვანცა სუხიშვილი** (საჩხერის რაიონი, სოფელი ჩიხა).

დიმიტრი შაშკინი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *სამოქალაქო განათლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია საჯარო სკოლებში. მსგავს კონკურსებში ახალგაზრდების ჩართვა აუცილებელია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველთვის მხარს დაუჭერს და წაახალისებს ყველა იმ მოსწავლეს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსგავსი ტიპის კონკურსებში.*

გიორგი ტუღუში, სახალხო დამცველი: *საერთაშორისო ორგანიზაციები წლების განმავლობაში ამკვიდრებდნენ საერთაშორისო სტანდარტებს, რათა დახმარებოდნენ ერებს იმ ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობაში, რომლებიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე ახდენდა გავლენას. მრავალი მცდელობის მიუხედავად, ადამიანის უფლებების დარღვევა გლობალურ პრობლემად რჩება. სრულფასოვანი დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისათვის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას, სხვა მექანიზმებთან ერთად, ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი კულტურის არსებობა წარმოადგენს. ჩვენ მიერ ორგანიზებული კონკურსი ამ კულტურის გავრცელების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. საყოველთაო მიზნის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ადამიანის უფლებების სფეროში ცნობიერების ამაღლება, რასაც შედეგად ქვეყანაში კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა უფრო ეფექტური რეალიზება მოჰყვება. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ კონკურსში „მე ომბუდსმენი“ 2000-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა, მათ შორის მაღალმთიანი რეგიონებიდან. გამარჯვებულების გამოსავლენად რამდენიმე თვე დაგვჭირდა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ 2000-ზე მეტმა მოსწავლემ გამოიჩინა დიდი ინტერესი ომბუდსმენისა და მისი საქმიანობის, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართ.*

ირენა ბაბუნაშვილი, ქუთაისის 30-ე საჯარო სკოლის მოსწავლე: *კონკურსის „მე ომბუდსმენი“ შესახებ ინტერნეტის საშუალებით შევიტყვეთ. კონკურსი სამი ტურისაგან შედგებოდა. პირველი რაუნდი ადამიანის უფლებათა სფეროში ზოგად განათლებაზე დაფუძნებულ კითხვებს მოიცავდა. მეორე რაუნდის შეკითხვები, პირველის მსგავსად, ადამიანის უფლებათა სფეროში, ზოგად განათლებაზე აგებული, მაგრამ შედარებით რთული იყო. ჩვენმა გუნდმა მესამე, ფინალურ რაუნდში გასვლა მაინც მოახერხა, სადაც მოცემული გვქონდა წერილობითი დავალება – სამოდელო ამოცანა ადამიანის უფლებათა სფეროში, რომელიც წერილობითი დასკვნითი პასუხის გაცემას მოითხოვდა. ფინალური რაუნდის ნაშრომები სპეციალურმა კომისიამ, 5 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შემდგარმა ყიურიმ შეაფასა და ჩვენ გამარჯვება მოვიპოვეთ.*

მაკა ყიფიანი

სვეტიცხოველი – 1700

სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა

სვეტი ძველ აღთქმაში და მისი დადებითი შინაარსი

ბიბლიურ სამყაროში სვეტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ის უმეტესწილად უჩვეულო, უცნაურ გარემოებებში მოიხსენიება, მაგრამ ძირითადად მაინც ორ კონტექსტში გვხვდება: ეს არის სვეტი, როგორც ნაგებობის საყრდენი და სვეტი, რომელიც თავისთავად დგას. არსებობს გამონაკლისებიც. თუ ბიბლიაში ყურადღებას სვეტების მეტაფორულ მნიშვნელობაზე გავამახვილებთ, უფრო მეტ ნაირსახეობას აღმოვაჩენთ. დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: „ჩვენი ვაჟები ნერგებივით იზრდებოდნენ მათს სიჭაბუკეში; ჩვენი ასულნი, ვითარცა ოსტატურად თლილი სვეტები სასახლისა“ (ფსალმ. 143:12). ეს არის ხატი ბრწყინვალე სილამაზისა, რომელსაც სამი ათასწლეულის შემდეგაც არ დაუკარგავს თავისი მომხიბვლელობა.

ბიბლიაში სვეტი, ძირითადად, სიმბოლური შინაარსის მატარებელია. ბიბლიური თვალსაზრისით, როგორც დიდი ნაგებობები, ისე მიწაცა და ცაც საჭიროებს სვეტებს (1 მეფ. 2:8; იობ. 9:6; 26:11). იობის წიგნში (9:6) ნათქვამია: „მან მოარყია დედამიწა თავისი ადგილიდან და ირხევიან მისი სვეტები; სამლოცველოს რელიგიურ შინაარსს აძლიერებდა სოლომონის ტაძრის კარიბჭესთან მდგარი ორი სპილენძის სვეტი, რომლებსაც საყრდენის დანიშნულება არ ჰქონიათ. სვეტებს თავისი სახელები: იაქინი და ვოაზი ერქვათ (3 მეფ. 7:1522; იერ. 52:2123). მორწმუნეებს მიაჩნდათ, რომ ხალხის დასალოცად მობრძანებულ უფალს, ჯერ სვეტებს შორის უნდა გაევლო და შემდეგ შესულიყო სალოცავში. გარდა ამისა, ეს უზარმაზარი მონოლითური ფიგურები იმასაც მიანიშნებდნენ, რომ ღმერთი ურყევია. სვეტების გვერდით მდგომი ადამიანები კი საკუთარ უსუსურობას უფრო ნათლად აცნობიერებდნენ. სხვაგვარად უკავშირდება უფალს გამოსვლის წიგნში აღწერილი შემთხვევა: „და აღაშენა მოსემ საკურთხეველი სვეტი და უწოდა სახელი მისი უფალი ჩემი და შესავედრებელი ჩემი“ (გამ. 17:1516); ხშირ შემთხვევაში, სვეტის აღმართვით გარკვეული ადგილი მოინიშნებოდა. მაგალითად, იაკობმა ის ქვა, რომელიც თავსადებად ჰქონდა, ღმერთთან შეხვედრის სამახსოვროდ აღმართა: „ადგა დილაადრიანად იაკობი, აიღო ლოდი სასთუმლად რომ ედო, აღმართა სვეტად და ზედ ზეთი დაღვარა“ (დაბ. 28:18; შეადარე დაბ. 31:13; 35:14). სვეტი შეიძლება გამვლელის ყურადღების მისაქცევად აღმართულიყო. მაგალითად, რახელის საფლავი, რომელიც იაკობმა ღირსსამახსოვრო ადგილად მონიშნა: „აღმართა სვეტი იაკობმა მის საფლავზე. ეს არის რახელის საფლავის სვეტი დღევანდლამდე“ (დაბ. 35:20); სვეტი, მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსანიშნავადაც აღიმართებოდა. მაგალითად, იაკობსა და ლაბანს შორის: „მოდი, შევკრათ კავშირი მე და შენ და ეს იყოს მოწმე ჩემსა და შენს შორის. აიღო იაკობმა ქვა და აღმართა სვეტად“ (დაბ. 31:44-46 და შემდეგ), უფლისა და ერის სახელით მოლაპარაკე ადამიანს შორის: „დაწერა მოსემ უფლის სიტყვები, ადგა დილაადრიანად და აღმართა მთის ძირას სამსხვერპლო და თორმეტი სვეტი ისრაელის თორმეტი შტოს მიხედვით“ (გამ. 24:4); აგრეთვე უფალსა და ერს შორის დადებული პირობის მოწმობად: „ჩასწერა ისუმ ეს სიტყვები საღვთო რჯულის წიგნში, აიღო დიდი ქვა და აღმართა“ (ნავ. 24:26-27); დაბოლოს, სვეტი ხშირად გამოიყენება წმინდა ადგილების, მაგალითად, კარვის (სავანისა) და ტაძრის აღწერილობაში.

უარყოფითი შინაარსი

ზოგჯერ სვეტს ძეგლის მნიშვნელობაც ენიჭებოდა. წმინდა წერილში ვკითხულობთ: „აბესალომს ჯერ კიდევ სიცოცხლეში ჰქონდა აღმართული სვეტი მეფის მინდორზე. ამბობდა, შვილი არა მყავს, რომ ჩემი სახელი იხსენიებოდესო. თავისი სახელი უწოდა სვეტს და დღემდე აბესალომის ძეგლად იწოდება იგი“ (2 მეფ. 18:18). აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი ძეგლები, როგორც წარმართული ტრადიციის გამგრძელებელი ნიშნები, ხშირად თაყვანისცემის სუბიექტები ხდებოდა, ამიტომ ძეგლების დადგმა კანონით იკრძალებოდა: „არ შეიქმნათ კერპები და ქანდაკებები, არ აღმართოთ სვეტები, არ ჩადგათ თქვენს ქვეყანაში მოხატული ქვები სათაყვანოდ, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი“ (ლევ. 26:1) (საუბარი ადამიანთა მიერ აღმართულ ძეგლებს შეეხება და არა ღვთის მიერ ნაბოძებ სვეტებს).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ საკერპეში ქანდაკების აღმართვის ტრადიცია არსებობდა. მაცებების (ნაკურთხი ქვები) გვერდით, აშერები (ნაკურთხი სვეტები) იდგა (გამ. 34:13; რჯლ. 7:5; 3 მეფ. 14:23; 4 მეფ. 17:10). ქვები მამაკაც ღვთაებას განასახიერებდნენ, ხოლო სვეტები – ქალურ საწყისებს (ეს. 17:8). სავარაუდოა, რომ ამ მიზნებისათვის, დასაწყისში, სამსხვერპლოს მიჯრით მდგარ ხეებსაც იყენებდნენ.

კერპთაყვანისმცემლური ტრადიციების განადგურების სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ ეპიზოდი, სადაც ორი საყრდენი სვეტის დაძვრის შედეგად, უშველებელი საკერპე ტაძარი მთლიანად ინგრევა. ეს იყო სამსონის უკანასკნელი გმირობა. წმინდა წერილში საყრდენი სვეტები მხოლოდ თავის პირდაპირ დანიშნულებას როდი ასრულებენ, ერთი შეხედვით არქიტექტურული დანიშნულების სვეტები, ხშირად, კულტის ფუნქციასაც ითავსებდნენ. „თქვა სამსონმა: მოკვდი, სულო ჩემო, ფილისტიმელებთან ერთად! და მთელი ძალით მიაწვა. თავზე ჩამოემხოთ სახლი მთავრებსა და მთელ შიგმყოფ ხალხს“ (მსაჯ. 16:23-30).

ღვთის სიტყვის უგულვებელყოფის გამო ლოთის ცოლი მარილის სვეტად გადაიქცა. უფალი მიგვითითებს: „გაიხსენეთ ლოთის ცოლი“ (ლუკ. 17:32). „ანგელოსებმა გამოიყვანეს ქალაქის გარეთ ლოთი, მისი ცოლი, ორი ქალიშვილი და უთხრეს მათ: აქედან გაიქეცით, უკან ნუ მოიხედავთ და გზაზე ნუ გაჩერდებით, რომ თქვენც არ აღმოიხოცოთ. როცა ლოთი მივიდა სიგორს, ღმერთმა ზეცით აწვიმა გოგირდი და ცეცხლი, დაქცია სოდომ-გომორი და მახლობელნი ადგილები, ამოწყვიტა იმათი მცხოვრებნი და ცხოველები. ლოთის ცოლმა მიიხედა უკან და მარილის სვეტად იქცა“ (დაბ. 19:126).

სვეტი, რომელიც ღმერთთან შეტოლების მიზნით შენდებოდა, ცნობილია როგორც ბაბილონის გოდოლი. მამის მიმართ შემცოდე ქამის შთამომავლებს გაყრა და მთელ ქვეყანაზე გაბნევა ემუქრებოდათ. თქვა უფალმა: „წყეულიმც იყოს ქანაანი! თავისი ძმების მორჩილთა მორჩილი იყოს!“ (დაბ. 9:25). ქამის შთამომავლებმა ღვთის ნებასთან შეპირისპირება გადაწყვიტეს და ერთად ყოფნის მიზნით, „თქვეს: აბა, ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, და ცას მივუწვდინოთ მისი თხემი. აღვმართოთ ნიშანსვეტი, რომ არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე“ (დაბ. 11:4). და სხვა ხალხებთან ერთად, დიდი ქალაქისა და უშველებელი სვეტის სახით, გოდოლის მშენებლობა დაიწყეს. ბაბილონის გოდოლის ამბავი არ არის დანაშაულისა და სასჯელის შესახებ მოთხრობილი რიგითი ისტორია. შესაქმისა და წარღვნის ისტორიებთან ერთად ის რადიკალურად უპირისპირდება ღმერთის შესახებ მითოლოგიურ და ლეგენდარულ წარმოდგენებს. უძველეს სამყაროში ბაბილონი განთქმული იყო მრავალიარუსიანი ტაძრით – ზიკურათი (საფეხურებად აგებული საკულტო კოშკი), რომლის საძირკველიც ქვესკნელიდან იწყებოდა და ბრწყინვალე სვეტით ზეცაში მთავრდებოდა. ბიბლიის მიხედვით კი, ზეციდან ბაბილონის გოდოლი იმდენად შორს იყო, რომ საერთოდ არ ჩანდა. ღმერთს ნაგებობის დასანახად ჩამობრძანება დასჭირდა – „ჩამოვიდა უფალი, რომ ენახა ქალაქი და გოდოლი, რომელსაც ადამიანები აშენებდნენ“ (დაბ. 11:5). უძველესი თქმულებების მიხედვით, ბაბილონი „ღმერთის კარს ნიშნავდა და ხალხის წარმოდგენით, ამ ქალაქის მოსახლეობა ღმერთთან ყველაზე მეტად იყო დაახლოებული. ბაბილონი მაშინდელი მსოფლიოს რელიგიურ, სულიერ და კულტურულ ცენტრად ითვლებოდა. სინამდვილეში ბაბილონი „ღმერთის კარი“, ანუ ცათა სასუფეველში შესასვლელი კარი კი არა, „აღრევა“ და „უწესრიგობა“ იყო. გოდოლი სიბრძნემ და მაღალმა სულიერებამ კი არა, სიბრიყვემ და ჭეშმარიტების წინაშე გამოჩენილმა სიამაყემ დაანგრია და გაანადგურა. „ამიტომაც ეწოდა სახელად ბაბილონი, რადგან სწორედ აქ აღრია უფალმა მთელი დედამიწის ენა და აქედან გაფანტა ისინი უფალმა დედამიწის ზურგზე“ (დაბ. 11:9). სხვაგვარად რომ განვმარტოთ, ადამიანმა ვერ დაინახა ღვთის ნება, რომლის აღსრულებაც მათ ცოდვისაგან იხსნიდა და ღვთის მადლის ძალას შეიძენდა. ქამის შთამომავლები მიღწეული ტექნიკურ წარმატებებით თვითონვე გაოცდნენ და გადაწყვიტეს საკუთარი მიღწევები ჭეშმარიტებისათვის დაეპირისპირებინათ. გოდოლად აშენებული სვეტის საშუალებით ღმერთთან შეტოლება მოინდომეს, ჭეშმარიტი ღმერთი დაივიწყეს და თავის წარმოდგენაში აღძრულ ღვთაებასთან მისასვლელი გზის მშენებლობა წამოიწყეს. ფორმალურად ბაბილონის მშენებლები ადამიანების ერთობისა და კეთილდღეობისათვის იღვწოდნენ, სინამდვილეში კი მათი მამოძრავებელი ძალა ამპარტავნება იყო. ხალხს ქვესკნელისა და ზეცის გასაერთიანებლად ამუშავებდნენ, ბოლოს კი მათი ცხოვრება და საქმე იგავში დაინთქა და განადგურდა.

ორი ბიბლიური სვეტი, რომელთა საყრდენიც დედამიწაზე არ იპოვება

თუ ღვთის რჩეული უფლის ნებას არ ემორჩილება, დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდება. ამ დროს მასში დარჩენილი სასოება ახალ ძალას იძენს და თუ მცირე რწმენა მაინც შერჩა, ღმერთისაკენ უეჭველად შემობრუნდება. ამპარტავნებით შეპყრობილ ერს კი მხოლოდ მაშინ ახსენდება უფალი, როდესაც დასაკარგი აღარაფერი აქვს და ღმერთის გარდა ვერავინ იხსნის.

როდესაც ვფიქრობთ უდაბნოში, სვეტში გამოცხადებული უფლის შესახებ, უნდა გვახსოვდეს, რა დროს მოხდა ეს გამოცხადება: ზღვის პირზე მიმწყვდეულ ერს ფარაონი უახლოვდებოდა. ფარაონის ხელში მოხვედრა უმრავლესთათვის გარდაუვალ სიკვდილს, ხოლო სხვათათვის უმძიმეს მონობას ნიშნავდა. ხალხი, რომელსაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ სჯეროდა უფლის და ყველა წარმატებას საკუთარ თავს, ხოლო წარუმატებლობას წინამძღოლს მიაწერდა, ასეთ კრიტიკულ მომენტში კარგავს თავის ეჭვებს და მთელი გონებით, სულითა და გულით უფალს მიმართავს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გადარჩენა მხოლოდ სასწაულებრივი ცვლილების შედეგად შეიძლება. ეს სასწაული მოხდება, თუ ხალხი სულიერად გაერთიანდება და სრული სასოებით ღმერთს შეჰღაღადებს: „გაიხედეს ისრაელიანებმა და, აჰა, მოსდევს მათ მთელი ეგვიპტე; ძლიერ შეეშინდათ და შეჰბღავლეს უფალს“ (გამ. 14:10). ეგვიპტელების ჯარი ებრაელებს გარდაუვალ განადგურებას უქადდა. მაშინ ღვთის ანგელოზი და ღრუბლოვანი სვეტი ებრაელების უკან დადგა და გზა გაუნათა, ხოლო იმავე სვეტის ძალით ეგვიპტელთათვის სიბნელე ჩამოწვა (გამ. 14:12-20,24). ეს იყო ღმერთის მიერ საკუთარი ხალხის თანადგომის სასწაულებრივი მაგალითი. აღწერილი ამბის ანალოგიას ისტორიაში ვერსად შევხვდებით, მაგრამ ეს მაგალითი ებრაელი ერის ცხოვრებაში ტყუილად არ განხორციელდა და წმინდა წერილში შემთხვევით არ იქნა უკვდავყოფილი. როდესაც ხალხმა მეწამული ზღვა გაიარა და უდაბნოში დაიწყო მოგზაურობა: „წინ მიუძღოდა მათ უფალი, დღისით ღრუბლის სვეტში გზის საჩვენებლად, ღამით ცეცხლის სვეტში გზის გასანათებლად, რათა ევლოთ დღითა და ღამით. არ მიჰფარებია ხალხის თვალს დღისით ღრუბლის სვეტი და ღამით ცეცხლის სვეტი“ (გამ. 13:21-22). სვეტის საშუალებით ებრაელები გებულობდნენ, როდის უნდა ემოძრავათ, როდის იყო საჭირო შეჩერება და კარვების დაგება: „როცა ასცილდებოდა ღრუბელი სავანეს, მაშინ დაიძრებოდნენ ხოლმე ისრაელიანები სამგზავროდ“ (გამ. 40:36 და შემდეგ). ღრუბელი, როგორც ღვთის ხილული თანადგომა, წმინდა წერილში სხვა შემთხვევებშიც გვხვდება (მაგ.: გამ. 33:9; 40:34 და შემდეგ, 38; რიცხ. 12:5; რჯლ. 31:15; ნეემ. 9:12,19; ფსალმ. 77:14; 98:74 104:39; 1კორ. 10:1). მაგრამ მოყვანილი ეპიზოდი გამორჩეული შემთხვევა იყო. ამ ორ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ბიბლიურ სვეტს საყრდენი დედამიწაზე არ ჰქონდა. სვეტი, ღრუბელი და ცეცხლი უფლის თანადგომაზე მეტყველებს. სვეტი სიმტკიცეს, ურყეობას, თავისი ფორმით მოვლენის მარადიულობას გამოხატავს. ამავე დროს, სვეტი სიწმინდის შარავანდედია, ღვთაებრივი ღრუბე-

სვეტიცხოველი – 1700

ლი კი ღმერთის დიდების მაჩვენებელია, ადამიანის დამცველი და მისთვის მადლის მომტანია, ამიტომ ღრუბელი ხშირად ფარავდა, როგორც სალხინებელს, ისე წმინდა კარავს.

ადამიანი და ერი, თავისი სულიერი განვითარების გარკვეულ ეტაპზე ღვთის მითითებების ამოცნობას იწყებს. უფალი ყველას, ვინც „ეგვიპტიდან“, ანუ ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობიდან ცდილობს გამოსვლას, გზას მიუთითებს. თუ ადამიანი მართალ გზას ადგას, ის უშუალოდ ღმერთისაგან ღებულობს ნიშანს.

უფალი იესო ქრისტე თავის მოწაფეებს ეუბნება: „როდესაც ხედავთ დასავლეთიდან ამომავალ ღრუბელს, მაშინვე ამბობთ: წვიმა მოვაო, და ასეც ხდება. ხოლო, როცა სამხრეთის ქარი ქრის, ამბობთ: გვალვა იქნებაო, და ასეც ხდება.“ უფლის სიტყვები მოწმობენ, რომ მომხდარ მოვლენებს მინიშნების მნიშვნელობა აქვს. მაგრამ თუ მზერა დაეხშო და ხალხი არ აქცევს ყურადღებას ღვთაებრივ ნიშნებს, ნიშანიც კარგავს თავის შინაარსს და ჯანსაღი თაობის მოლოდინში კვლავ დადუმდება. ადამიანები კი გაუვალ და ცდუნებით მოსილ უდაბნოში აღმოჩნდებიან.

შვიდი სვეტი და მათ შორის სვეტი ცხოველი

წარმოდგენილი მოვლენები და მაგალითები მხოლოდ ძველი აღთქმის ისტორიიდან მოყვანილი ეპიზოდებია. ამასთან, როგორც დავინახეთ, ხელთუქმნელი, ცეცხლოვანი, ცხოველი სვეტი უფლის რჩეულ ხალხს და მათ წმინდა ადგილებს მფარველობს.

ესაია წინასწარმეტყველმა ღვთის დიდება ბოლით ან ნათელი ღრუბელით აღვსებულ ტაძარში იხილა. ესაია ბრძანებს, რომ მოვა დრო, როდესაც ღვთის ყველა ტაძარში თვითონ უფალი იმკვიდრებს. „მაშინ შექმნის უფალი სიონის მთის ყოველ ადგილზე და ყოველ საკრებულოს თავზე ნისლსა და კვამლს დღისით და ცეცხლის ნათებას ღამით, რადგან ყოველ დიდებას საფარველი გადაეფარება“ (ეს. 4:5). აქ უკვე ძველი აღთქმის პერიოდი აღარ იგულისხმება, და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, როგორც ვხედავთ, ესაია წინასწარმეტყველი სვეტს არ ახსენებს. ცეცხლოვანი სვეტი, რომელსაც საყრდენი მიწაზე არ ჰქონდა, ებრაელ ხალხს მხოლოდ ეგვეპტის მონობიდან გამოყვანის დროს მიუძღვებოდა. ანუ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უფლის თანადგომა ხალხისადმი ასეთი ხილული სახით მაშინ ვლინდება, როდესაც ერი (და არა რომელიმე კერძო პიროვნება), დიდი გასაჭირის მიუხედავად, ცდილობს წარმართობის ტყვეობიდან გამოვიდეს.

იგივე მოხდა საქართველოშიც. იბერიაში შემობრძანებულ წმინდა ნინოს ქვეყანა წარმართული სამყაროს სრულ ტყვეობაში დახვდა. მართლაც, თუ გონების თვალით გადავხედავთ მაშინდელ საქართველოს და მის გარშემო არსებულ სივრცეს, უკუნ, წარმართულ წყვდიადს დავინახავთ, სადაც ნათელ წერტილებად მხოლოდ რამდენიმე ებრაული ოჯახი გამოკრთის. ეს იმ ხალხის შთამომავლები იყვნენ, ვინც სამასი წლით ადრე მცხეთაში იესო ქრისტეს კვართი ჩამოიტანა. ამ დროისათვის კვართთან დაკავშირებული მოვლენები თითქმის აღარავის ახსოვდა, უდიდესი სიწმინდე, შესაბამის დროს თავისი ძალის გამოვლენისათვის, სიდონიას სამარხში განისვენებდა. მეფე მირიანს კი ქვეყნის გაქრისტიანებისათვის ძალა და რწმენა ესაჭიროებოდა, რისთვისაც შესაბამისი ქვაკუთხედისა და ლიბოს მოლოდინში იყო.

გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი მეფის ცხოვრებიდან: წმინდა კონსტანტინემ მეფე მირიანს ეპისკოპოს იოანეს ხელით გამოუგზავნა ძელიცხოვლის ნაწილი, სამსჭვალნი და ფიცარი, რომელზეც მაცხოვრის ფერხნი იყო მიმსჭვალული. ეპისკოპოსმა ძვირფასი ძღვენი ერუშეთსა და მანგლისში დატოვა, მეფე მირიანთან კი ხელცარიელი დაბრუნდა. გულდაწყვეტილი მეფე წმინდა ნინომ ანუგეშა – უთხრა, რომ მის ბაღში უდიდესი სიწმინდე, უფლის კვართი და ილია წინასწარმეტყველის ხალენი ინახება. მეფემ წმინდა ქალწულის მიერ მოყოლილი ამბავი ურიებს გამოჰკითხა და როდესაც მათაც დაუდასტურეს, სიხარულით აივსო და უფალი ადიდა.

ღვთის სასწაულითა და წმინდა ნინოს ლოცვით მოქცეულმა მეფე მირიანმა სამეფო ბაღში ტაძრის აშენება გადაწყვიტა. მოჭრეს ბაღში ამოსული მშვენიერი ლიბანის ნაძვები და მათგან შვიდი სვეტი გამოთალეს. „შვიდი სვეტის“ ანალოგია ძველი აღთქმის იგავთა წიგნშიც გვხვდება – „სიბრძნემ სახლი აიშენა, მისი შვიდი ბოძი გათალა. დაკლა თავისი საკლავი, გაამზადა თავისი ღვინო და გაშალა თავისი ტაბლა, გაგზავნა თავისი მხევლები, გადასძახა ქალაქის მაღლობებიდან: ბრიყვი ვინც არის, აქეთ მობრუნდეს! ჭკუათხელებს კი უთხრა: მოდით, დაპურდით ჩემი პურით და შესვით ჩემი განზავებული ღვინო. მიატოვეთ სიბრიყვე და იცოცხლებთ, ჭკვიანური გზით იარეთ“ (ნახეთ, იგავ. 9:16). სვეტები აქ სილამაზის, საიმედოობისა და გონებრივი მიღწევების მიმანიშნებელია, ხოლო რიცხვი „შვიდი“ სრულყოფილებასა და სისავსეს გულისხმობს. სწორედ ამ შინაარსის უნდა ყოფილიყო მეფე მირიანის მოწოდება ქვეყანაში და მის გარეთ მცხოვრებ წარმართთა მიმართ, რომლებიც, რა თქმა უნდა, ქრისტიანობის შინაარსს თავიდანვე ვერ ჩასწვდებოდნენ. მაგრამ ამგვარი მოხმობა ვერ იტევს ცოდნასა და სულიერებას, რომლის თანაზიარიც საქართველო ქრისტიანობის შემოსვლის შედეგად უნდა გამხდარიყო. სამეფო ბაღში აღსამართავად გამზადებული ბოძები თავისი ბუნებით უფრო მეტია, ვიდრე იგავთა წიგნში ნახსენები სვეტები.

შეკრეს ტაძრის კედლები და თავ-თავიანთ ალაგას აღმართეს ლიბანის ნაძვებიდან გამოთლილი ექვსი ბოძი. მაგრამ, ტაძრის შუაში დასადგმელად გამზადებულ მეშვიდე სვეტს, მიუხედავად ბევრი წვალებისა, ძვრა ვერ უყვეს. იგავთა წიგნში მოთხრობილი შვიდივე სვეტი, სიბრძნის შინაარსის მატარებელია. ეს ერთი და მასთან ერთად დანარჩენი ექვსი სვეტი კი ახალმოქცეულ ერს მაცხოვრისაკენ მიმავალ გზაზე უნდა გაძღოლოდა. ცხადია, ასეთი სვეტი კაცთა ნებას არ დაემორჩილებოდა. ეს სვეტი იმ ხელთუქმნელ სვეტთა ბუნებისაა, რომელიც ებრაელ ერს მფარველობდა და რომელსაც ხალხი წარმართობის ტყვეობიდან გამოჰყავდა. ხელთუქმნელი სვეტი მხოლოდ ღვთის ნებით იმოქმედებდა.

აი, როგორ მოხდა ეს: მოსაღამოვდა. მრავალი წარუმატებელი ცდის შემდეგ მეფე და მისი მხლებლები სასახლეში წაბრძანდნენ. სვეტთან წმინდა ნინო და მისი მოწაფეები დარჩნენ. დაღლილობისგან მოწაფეებს მიეძინათ. მხოლოდ აბიათარ მღვდლის შვილი სიდონია ფხიზლობდა. წმინდა ნინო ხელაპყრობილი ლოცულობდა. უეცრად მის წინაშე ნათლით შემოსილი ჭაბუკი აღიმართა. ქალწულს მან მხოლოდ სამი სიტყვა უთხრა. ქალწული თაყვანისცემის ნიშნად პირქვე დაემხო. ჭაბუკმა სვეტს ხელი მოჰკიდა და ზეცად აღამაღლა. რამდენიმე ხნის შემდეგ სვეტმა ცეცხლოვანი სვეტის სახე მიიღო, ნელ-ნელა დაეშვა, იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ხე იყო მოკვეთილი. სვეტი „ზე ჰაერთა საკვირველად გამოკიდებული“ მიწიდან ორი წყრთის სიმაღლეზე გაჩერდა. ასე მოგვითხრობს „სვეტიცხოვლის საკითხავი“. ნაკლულ, მაგრამ იმავე შინაარსის ინფორმაციას გვაწვდის „ქართლის ცხოვრება“, რომლის მიხედვითაც, ცეცხლის სვეტი ჩამოშვებულა და კაცთაგან ხელშეუხებლად, სადაც მოიჭრა იმავე ადგილას დამდგარა.

დღისით უფრო ძნელია ღვთის მინიშნების ხილვა. დღე ბურუსითაა მოსილი და მრავალი ფაქტორის გამო ადამიანის სულიერი ძალები მიმოფანტულია; ფხიზელთათვის ღამის წყვდიადში შედარებით ადვილია ღვთის ხელის ხილვა, რადგან „ბნელი ნათელს ვერ ეწია“, ჭეშმარიტი ნათელის ხილვა კი მხოლოდ მხილველის უნარზეა დამოკიდებული.

სვეტი ახალი აღთქმისა

„იცოდე, როგორ უნდა მოიქცე ღვთის სახლში, რომელიც არის ეკლესია ცოცხალი ღვთისა, ჭეშმარიტების სვეტი და საფუძველი“ (1 ტიმ. 3:15). ახალ აღქმაში ეკლესია ხასიათდება, როგორც ჭეშმარიტების სვეტი და საფუძველი. ნათელია, რომ შვიდი სვეტი, რომლის შესახებაც იგავთა წიგნშია საუბარი, ჭეშმარიტების სვეტებად გამოუსადეგარია. ჭეშმარიტება, ის ხელთუქმნელი სვეტია, რომელიც მიწიდან ორი წყრთის სიმაღლეზე გაჩერდა და დღესაც დგას სვეტიცხოველში. ეს არის სვეტი ერის ნათლისღებისა, ექვსი სვეტი კი რომლებმაც ტაძრის კედლები შეკრეს და თავ-თავიანთ ალაგას აღიმართნენ, ეკლესიის ექვსი საიდუმლო – მირონცხება, ზიარება, მღვდელობა, სინანული, ქორწინება, ზეთის კურთხევაა. აქედან იწყება ახალი, სამარადჟამო ეკლესიის შენება.

ეკლესია ღმერთის სახლია, ანუ ტაძარია, სადაც უფალი სუფევს. ჩვენ არ ვიცით, ვინ იხილა წმინდა ნინომ ჭაბუკის სახით, მაგრამ სავარაუდოა, რომ ახალშობილ ქართულ ეკლესიაში გამოთლილი ბოძი ხელთუქმნელ სვეტად მაცხოვარმა გარდაქმნა და მაშინ ის სამი სიტყვა, რომელიც წმინდა ნინოს ჩაესმა, წმინდა სამება: მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა უნდა ყოფილიყო, რადგან „წმინდა სამების გარეშე არაფერი ღვთაებრივი არ ხდება“.

ამას გარდა, პავლე მოციქული თავისი ეპისტოლარული წერილებიდან გვამცნობს იერუსალიმის ტაძრის სამი ჭეშმარიტი დასაყრდენის: მაცხოვრის ძმის იაკობის, პეტრეს და იოანეს – როგორც „სათაყვანებელი სვეტების შესახებ“. ის ბრძანებს: „ბურჯებად (სვეტებად, გიორგი მთაწმინდელთან) მიჩნეულმა იაკობმა, კეფამ და იოანემ თანაზიარობის მარჯვენა გამოგვიწოდეს მე და ბარნაბას“ (გალ. 2:9-ში). ეს არ არის მოციქულის მიერ ადამიანების მიმართ მეტაფორის უბრალო გამოყენება. ამ ხატში ქრისტიანული საზოგადოება ახალი ტიპის ერთობად, ახალ ტაძრად წარმოგვიდგება, ხოლო ეს უდიდესი მოციქულები ამ ტაძრის საყრდენებია.

სახარებაში მორწმუნეების ანალოგიად ის ქვაა გამოყენებული, რომლისგანაც ტაძარი შენდება: „როგორც ცოცხალი ქვები, თქვენც აშენდით სულიერ სახლად, წმიდა სამღვდელოებად და სულიერი მსხვერპლის მწირველად, იესო ქრისტეს მეშვეობით სასურველად რომ უჩანს ღმერთს“ (1 პეტ. 2:5). შემდეგ ეს აზრი ძლიერდება და ქრისტიანობა წარმოგვიდგება საზოგადოებად, რომლის ყოველი წევრი თავად შეიძლება სვეტად აღიმართოს: „მძლეველს სვეტად აღვმართავ ჩემი ღვთის ტაძარში, და აღარ გავა გარეთ; და დავაწერ მას სახელს ჩემი ღვთისას, სახელს ჩემი ღვთის ქალაქის – ახალი იერუსალიმისას, ზეცით რომ ჩამოდის ჩემი ღვთისაგან, და ჩემს ახალ სახელს“ (გამოცხ. 3:12).

* * *

ჩნდება კითხვა: მაინცა და მაინც მცხეთაში რატომ დამკვიდრდა სვეტი ცხოველი?

მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთა ეგვიპტის ტყვეობიდან გამოყვანის შემდეგ არა ერთი სასწაული მოხდა, ხოლო მაცხოვრის მობრძანების შემდეგ, მრავალი ქვეყანა და ხალხი გაქრისტიანდა, ასეთი მოვლენა არც ერთი ერის ისტორიაში აღარ დაფიქსირებულა.

გავიხსენოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც მცხეთასთან და ჩვენი თანამემამულე ებრაელების ცხოვრებასთანაა დაკავშირებული: „იერუსალიმში იესოს ჯვარცმისას საქართველოდანაც ჩავიდნენ ურიები – ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. ელიოზის დედა ელი მღვდელმთავრის ტომიდან იყო. სწორედ მან გააფრთხილა ვაჟები, რომ უფლის სისხლის დათხევაში მონაწილეობა არ მიეღოთ. ამასვე ევედრებოდა ელიოზს და სიდონია. მაცხოვრის ჯვარცმისას ლურსმნების დაჭედების ხმა თურმე მცხეთაში მოესმა ელიოზის დედას. წამოუძახებია: „მშვიდობით, მეფობაო ისრაელთაო, რამეთუ უგუნურებით მოჰკალთ უფალი და მაცხოვარი ყოველთა!“ – და მწუხარების გამო ქალს იქვე დაულევია სული. უფლის კვართი ელიოზმა მცხეთაში წამოიღო. მცხეთის კარიბჭესთან სიდონია მას ტირილით შეგებებია, მკერდში ჩაუკრავს „ყოველთა სასურველი კვართი მხსნელისა“ და „თავისი დედის ძილით მიუძინებია“.

როგორც ვხედავთ: როდესაც ებრაელებმა ახალი აღთქმა უარყვეს და მაცხოვარი ჯვარს აცვეს, მათგან გამორჩეულებმა, ღვთის ნებითა და საკუთარი სურვილით, მაცხოვრის ხელთუქმნელი კვართი მცხეთაში ჩამოაბრძანეს და ებრაელი ქალის, სიდონიას ნეშტთან ერთად მცხეთის მიწას მიაბარეს.

მაცხოვრის კვართი ჭეშმარიტად ხელთუქმნელია, რადგან ბავშვობაში მოქსოვილი ქრისტეს კვართი მასთან ერთად იზრდებოდა, ეს კი იმაზე მეტყველებს, კვართს უბრალო მიწიერი ბუნება რომ ჰქონოდა, მასში ასეთი ძალა არ იქნებოდა.

არც ის მოხდებოდა, რასაც წმინდა გადმოცემა შემდგომი მოვლენების შესახებ გვაუწყებს: „მიცვალებული სიდონია მეფე ადერკს უნახავს და კვართი მოსწონებია. ბევრს ცდილან, მიცვალებულისთვის კვართი გამოერთმიათ, მაგრამ ამაოდ. ბოლოს კვართითვე ლიბანის ნაძვებთან დაუკრძალავთ. რამდენიმე წლის შემდეგ ადერკის შვილიშვილს, მეფე არმაზელს მოუნდომებია სიდონიას საფლავის გათხრა და კვართის პოვნა, მაგრამ ამის გამო ღვთისგან სასჯელი მიუღია – უეცრად დაბრმავებულა“. შემდგომში ვერც აბულ ყასიმი, ვერც შაჰ-თამაზი, ვერც შაჰ-აბასი და ვერც სხვა ვინმე ურწმუნო და დამპყრობელი, მრავალი მცდელობის მიუხედავად, კვართს ვერ შეხებია. უფლის კვართი დაკრძალვის შემდეგ აღარავის უხილავს. დღესაც არიან ადამიანები, ვისაც მიაჩნია, რომ უფლის კვართი შესაძლოა, უწმინდურების მიერ, საქართველოდან რუსეთში იყოს გადაბრძანებული. მაცხოვრის კვართის მიმართ განხორციელებულ ყოველგვარ მკრეხელურ მოქმედებებთან და მოსაზრებებთან დაკავშირებით პავლე მოციქულის მასწავლებლის, გამალიილის სიტყვები გვინდა გავიხსენოთ: „...თუ ეს ზრახვა ანდა საქმე კაცთაგან არის, ჩაიშლება. ხოლო თუ ღვთისაგან არის, თქვენ ვერ ჩაშლით მას; მაშ, გაფრთხილდით, ღვთისმბრძოლებად არ შეირაცხოთ“ (საქ. 5:38-39). ქართველებს ყოველთვის სწამდათ, რომ მაცხოვრის კვართი სწორედ სვეტის ამაღლების ადგილას იყო დაფლული, ხოლო თუ ვინმეს ეჭვი შეეპარებოდა, ღვთისაგან განისწავლებოდა.

* * *

მცხეთაში მაცხოვრის კვართი და სვეტი ცხოველი დროს ელოდება. კვართი ქართულ მიწაშია დაფლული, ხოლო სვეტი ორი წყრთით არის მიწიდან ამაღლებული. ერთიცა და მეორეც კაცთათვის ხელშეუხებელი და უხილავია. გავიხსენოთ: სანამ წმინდა ნინოს მოსწავლეებს არ ჩაეძინათ (მხოლოდ აბიათარ მღვდლის შვილი სიდონია ფხიზლობდა) და ღვთისმშობლის რჩეულმა, წმინდა ნინომ ლოცვა არ აღავლინა უსიცოცხლო ბოძი მიწაზე იდო და დროს ელოდა. დრო წმინდა ნინოს მხურვალე ლოცვით მოახლოვდა, რის შემდეგაც, უფლის ნებით, ბოძი ცხოველ ცეცხლოვან სვეტად მოევლინა გაქრისტიანებისათვის განმზადებულ ქართულ მიწას.

მცხეთის მიწაში ებრაელი ხალხის მიერ ჩამოტანილი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხელით მოქსოვილი მაცხოვრის კვართი ებრაელ ქალს უპყრია ხელთ, ბევრი მცდელობის მიუხედავად კვართი მას ხელიდან ვერ გამოართვეს. რას უნდა მიგვანიშნებდეს ეს უპრეცედენტო ფაქტი, რომელშიც ებრაელი ხალხი, მაცხოვრის შესამოსელი და სვეტი ცხოველი ერთად წარმოგვიდგება. იქმნება შთაბეჭდილება თითქოს სიდონიას ებრაელი ხალხის იესო ქრისტეს კვართით შემოსვა მოუსურვებია. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ალბათ პავლე მოციქულის სიტყვები გაგვახსენდება:

„რადგანაც არ მინდა, ძმებო, რომ თქვენთვის უცნობი დარჩეს ეს საიდუმლო, რათა თავს არ გაგივიდეთ: ისრაელის სიბრმავე ნაწილობრივია და დროებითი, ვიდრე არ შემოგვიერთდება წარმართთა მთელი სიმრავლე. ასე გადარჩება მთელი ისრაელი, როგორც წერია: „მოვა სიონით მხსნელი და უღმერთოებას მიაქცევს ისრაელისგან. ეს არის ჩემი აღთქმა მათდამი, როდესაც წავართმევ მათ ცოდვებს“ (რომ. 11:25-27).

ეს დრო დადგება, კვართის და სვეტიცხოველის საიდუმლოც სწორედ მაშინ განცხადდება. და ეს მოხდება ქართულ მიწაზე, ქალაქ მცხეთაში.

როლანდ (რომილე) ჩხეიძე

ახალი წიგნი

მოგვითხრობს დიდი მწერლის ქალიშვილი

თავიდანვე მინდა შევნიშნო, ოცდამეერთე საუკუნის ქართველი მკითხველისათვის კლასიკოსთა ნაწარმოებები ისეთივე ძვირფასი და ახლობელია, ისეთივე აქტუალური და თანადროული, როგორც იმ ეპოქისათვის, რომელშიც ეს მამულიშვილები მოღვაწეობდნენ. ქართველ კლასიკოსთაგან თავისი შემოქმედებით, მრწამსით, სამართლიანობის გრძნობით და უმძიმესი ხვედრით სრულიად გამორჩეულია დიდი მწერალი და მამულიშვილი მიხეილ ჯავახიშვილი. სწორედ ამიტომ, ისევე როგორც მთელი მისი შემოქმედება, უაღრესად საინტერესოა მწერლის ცხოვრების ყოველი წვრილმანი.

მიხეილ ჯავახიშვილის უმძიმესი ხვედრის, მისი სამაგალითო პიროვნული თვისებების შესახებ საკმაოდ ბევრი დაწერილა. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია მწერლის უფროსი ქალიშვილის, ქალბატონი ქეთევან ჯავახიშვილის მიერ ადრე გამოცემული წიგნები. ამჯერად კი გამომცემლობა „პეგასმა“ მკითხველს შესთავაზა მწერლის უმცროსი ქალიშვილის, ქალბატონი რუსუდან ჯავახიშვილის წიგნი „მიხეილ ჯავახიშვილი“.

„ზევსს კი არ გეფიცები, აგელაოს, არამედ მამაჩემის ტკივილებს“ – სწორედ ტელემაქეს ეს სიტყვები უძღვის „ოდისეადან“ წიგნს და უნდა ითქვას, რომ დიდი მწერლის ღირსეული ასულის მიერ ამ ფრაზის ციტირებით ნათლად იხატება სახელოვანი მამის მძიმე პირადი ცხოვრებით გულდამძიმებული შვილის ასევე ტკივილიანი, მრავალი განსაცდელით აღსავსე ცხოვრება.

მშობლიური წერაქვი, მშობლები და წინაპრები, მწერლის მოწაფეობისა და სტუდენტობის წლები, ოჯახის ტრაგედია, მოგვიანებით – დაპატიმრებები, ცხოვრების მომავალ უერთგულეს თანამგზავრთან შეხვედრა და დაოჯახება, მეგობრებთან ურთიერთობა, საზოგადოებრივი საქმიანობა, ეპოქის მარწუხებში მოქცეული მწერლის სულიერი ორთაბრძოლა, ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის ისტორია, მწერლის მონაწილეობა სხვადასხვა ფორუმებსა და ღონისძიებებზე, მისი პიროვნული თვისებები და შემოქმედებითი მუშაობის წუთები, რეპრესიების უმძიმესი წლები, უიმედოდ დარჩენილი ოჯახი და კეთილი ადამიანების მიერ გაღებული სულიერი სითბო, – აი, ის ძირითადი საკითხები, რომელთა შესახებ ქალბატონი რუსუდანი მკითხველს ამ წიგნის ფურცლებიდან უყვება. იგი ბავშვობის შორეული წლებიდან მოუხმობს იმ ძვირფას წუთებს, რომლებიც დიდ მამასთან აკავშირებდა. და რაკი, ეს მოგონებები, ძირითადად, ბავშვობის წლებშია ჩარჩენილი, ქალბატონი რუსუდანი უხვად სარგებლობს თავისი დისა და სხვათა გადმოცემებით.

მერე იყო სისხლიანი ოცდაჩვიდმეტი... აუტანელ რეალობასთან მარტო დარჩენილი მწერლის უკეთილშობილესი მეუღლე, ქალბატონი ლუბა ჯაჭვაძე. სიძნელეებთან პირისპირ დგომა და ამაღლება საკუთარ ხვედრსა და ტკივილზე.

სიამაყით უნდა ითქვას, რომ ისევე როგორც ტიციანის ღირსეულმა მეუღლემ ნინო მაყაშვილმა, ქალბატონმა ლუბამაც ასევე ღირსეულად ზიდა უდანაშაულოდ დასჯილი დიდი მწერლისა და მამულიშვილის უმძიმესი უღელი. ასეთი ადამიანები თავის დიდ ახლობლებთან ერთად ერის ხსოვნას ასევე ნათლად და შთამბეჭდავად შემორჩებიან ხოლმე და სიამაყით გავსებენ.

ამ ყაიდის წიგნები საინტერესოა როგორც სპეციალისტებისათვის, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის და განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, ილუსტრირებული გამოცემები მათში უთუოდ გააღვივებს წიგნის სიყვარულსა და ინტერესს. მეორეც, დიდი მწერლების ოჯახის წევრთა მიერ მოთხრობილ ისტორიებს მაინც სხვა ხიბლი და დამაჯერებლობა აქვს.

მწერლის ბინა-მუზეუმში შესულს კი ღიმილით გეგებებათ მწერლის ულამაზესი ასული, რომლისთვისაც მამის დიდი შემოქმედება და პიროვნება არა მარტო საამაყოა, ამ კეთილშობილ ქალბატონს კარგად აქვს გააზრებული, რომ თანამედროვე და მომავლის საქართველოს მიხეილ ჯავახიშვილის და სხვა კლასიკოსთა თხზულებები კიდევ უფრო მეტად წაადგება, რომ მომავალი ქართველები ამ ნაწარმოებებში არაერთ კითხვაზე მიიღებენ დამაჯერებელ პასუხს. ამ ყველაფრისათვის კი, მწერლის წიგნებთან ერთად, უმნიშვნელოვანესია მისი ბინა-მუზეუმის წვლილი და დანიშნულება.

მე კი ისღა დამრჩენია, მადლობა გადავუხადო ქალბატონ რუსუდანს ამ დიდი გარჯისათვის, კეთილშობილებისათვის და ვისურვოთ, დიდი ქალბატონი კიდევ დიდხანს ასხივებდეს იმ სულიერ ნათელს, რომელიც ასე სჭირდება დღევანდელ საქართველოს.

მურად მთვარელიძე
ხაშურის მე-9 საჯარო სკოლის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა **კობა სუბელიანმა** პერევის საჯარო სკოლის 70-მდე მოსწავლეს 5000 ლარის ღირებულების სასკოლო სახელმძღვანელოები ჩაუტანეს.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლის 60-მდე მოსწავლემ, სოციალური პროგრამის ფარგლებში, სწავლის დაწყებამდე მიიღო საჭირო წიგნები. საბოლოოდ, პერევის საჯარო სკოლის 130-მა მოსწავლემ, პირველი კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, სახელმწიფოსაგან სასკოლო სახელმძღვანელოები უსასყიდლოდ მიიღო.

პერევის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს, ნაწილს კი, ყოველდღიურად უწევს ოკუპანტთა მიერ კონტროლირებადი ბლოგპოსტის გავლით სკოლაში სიარული. ადგილობრივი თვითმმართველობა თავად უზრუნველყოფს ბავშვების უსაფრთხოდ ტრანსპორტირებას. პერევის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან შეხვედრა სოფელ ჯრიას საჯარო სკოლაში გაიმართა.

გასულ წელს შესაძლებელი გახდა პერევის საჯარო სკოლისთვის ახალი სასკოლო მერხების გადაცემა, მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო ოლიმპიადებსა და სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

დიმიტრი შაშკინი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„მთავარია, პერევში ყველა ბავშვს ჰქონდეს სწავლის საშუალება. ამიტომაც ჩამოვუტანეთ და უფასოდ გადავეცით სახელმძღვანელოები. ხვალ აქ კომპიუტერებს ჩამოიტანენ, რაც მათ კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევების დაუფლების შესაძლებლობას მისცემს. ასეთია ჩვენი პასუხი რუსულ აგრესიაზე, რომელიც, იმედი მაქვს, ძალიან მალე დამთავრდება და ამ რეგიონში ცხოვრება ისევ ჩვეულ რიტმში გაგრძელდება.“*

ლაშა მაქაცარია, პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის რეგიონში: *„მინდა მადლობა გადავუხადო ორივე მინისტრს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი სტუმრობა იყო. მოგეხსენებათ, პერევის სკოლა პრობლემატური სკოლაა, საზღვარისპირაა და აქ არც თუ უსაფრთხოა ბავშვების გადაადგილება. თუმცა, ჩვენ უფასო ტრანსპორტი დავნიშნეთ და ბავშვებს უსაფრთხოდ გადაადგილების საშუალება აქვთ. ამასთან ერთად, ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ მათი უსაფრთხოება იყოს დაცული. სასწავლო პროცესი აქ ერთი დღითაც არ ჩაშლილა. ასეთი სტუმრობა, ასეთი ყურადღება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს როგორც ბავშვების, ასევე მთელი კოლექტივის წახალისებას.“*

კობა სუბელიანი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი: *„დაახლოებით 10 დღის წინ, დამიკავშირდა საჩხერის რაიონის დეპუტატი, რომელმაც მოსახლეობის თხოვნა გადმოგვცა. ვთხოვე ჩემს კოლეგას – დიმიტრი შაშკინს, თუ ამის შესაძლებლობა იყო, პერევის სკოლისთვის წიგნები საჩუქრად გადაგვეცა. მართალია, სასწავლო პროცესი უკვე დაწყებულია, მაგრამ „სჯობს გვიან...“ – სახელმძღვანელოები ჩამოვიტანეთ და დავურიგეთ ბავშვებს. ეს ხალხი ოკუპირებულ ტერიტორიასთან ახლომდებარე სოფელში ცხოვრობს, მათ გამხნევება და ყოველდღიური გვერდში დგომა სჭირდებათ. ვიმედოვნებ, რომ ეს მდგომარეობა მალე გამოსწორდება და ისინი, ისევე როგორც მთელი საქართველო, დაისვენებს.“*

* * *

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის ახალი სასწავლო კორპუსი აშენდა. შედეგად, გაიზარდა პირველკლასელთა რაოდენობა და აღნიშნულ სკოლაში სწავლის მსურველთა მოთხოვნაც დაკმაყოფილდა.

ახალი კორპუსის მშენებლობა 1 ივნისს დაიწყო და 4 ოქტომბერს დასრულდა. საქართველოში ერთადერთია საჯარო დაწესებულების მსგავსი უნიკალური შენობა, რომელსაც მწვანესაფარიანი გადახურვა აქვს ცოცხალი გამწვანებითა და ხე-მცენარეებით – სახურავზე გაშენებულია ზეთისხილის, ბროწეულისა და ბზის ბაღი.

შენობაში, ამჟამად, 283 დაწყებითი კლასის მოსწავლე სწავლობს. უსაფრთხო სკოლის კონცეფციის მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ პირველკლასელები ცალკე შენობაში ისწავლიან. გარდა იმისა, რომ ახალ შენობაში 4 სამეთვალყურეო კამერაა დამონტაჟებული, მოსწავლეების უსაფრთხოებაზე მანდატურები ზრუნავენ.

სკოლის შენობა ქართველმა არქიტექტორმა **ირაკლი შარაშიძემ** და ამერიკელმა არქიტექტორმა სტივენ **დენკენ ბერგერმა** დააპროექტეს. მშენებლობა სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის „იაკობ გოგებაშვილი – საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“ ფარგლებში, განახორციელა.

პირველი ექსპერიმენტული საპილოტე სკოლაა, სადაც პრეზიდენტის ინიციატივით ყველა პირველკლასელ მოსწავლეს ნეთბუქები დაურიგდათ, შესაბამისად, გადამზადნენ პედაგოგებიც.

თანამედროვე საბავშვო კომპიუტერში ჩატვირთულია სასწავლო პროგრამები უცხო ენაში, ქართულში, მათემატიკასა და ლოგიკაში, ასევე, სასკოლო და კლასგარეშე სახელმძღვანელოები და სასწავლო-შემეცნებითი თამაშები. ნეთბუქი სრულფასოვანი ლიცენზირებული ოპერატიული სისტემითაა აღჭურვილი.

მომავალი სასწავლო წლიდან ნეთბუქებს საჩუქრად ყველა პირველკლასელი მიიღებს, რისთვისაც სახელმწიფო ასი ათას კომპიუტერს შეიძენს. პარალელურად, შეიქმნა ვებგვერდი www.buki.ge, რომლით სარგებლობა, პირველკლასელების გარდა, ყველა მოსწავლეს შეუძლია. ვებგვერდი სასწავლო-შემეცნებითი შინაარსისაა – სხვადასხვა ინტერაქტიული თამაშები, ელექტრონული ბიბლიოთეკა, უახლესი ინფორმაცია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ასევე სკოლებში მიმდინარე სიახლეებზე. გარდა ამისა, სასკოლო და კლასგარეშე სახელმძღვანელოები.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** სამუშაო ვიზიტით ესტონეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში, შეხვდა ესტონეთის რესპუბლიკის განათლებისა და კვლევების მინისტრს **ტონის ლუკასს**. შეხვედრისას ისაუბრეს საქართველოსა და ესტონეთს შორის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საინჟინრო სფეროში გამოცდილებების გაცვლასა და თანამშრომლობის დაწყებაზე. ესტონეთი წარმატებებით სარგებლობს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში და მათი გამოცდილების გაზიარება საქართველოს განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იქნება. საუბარი ასევე შეეხო ორივე ქვეყნის მიერ გატარებულ რეფორმებს, ტარტუს უნივერსიტეტთან თანამშრომლობას. ესტონეთის რესპუბლიკა საქართველოს დაეხმარება ევროკავშირის პროგრამის „ლეონარდო და ვინჩის“ განხორციელებაში.

„ლეონარდო და ვინჩი“ არის ევროპული კომისიის მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელიც მიმართულია პროფესიულ სწავლებასა და გადამზადებაში ჩართული ხალხის სწავლებისა და ტრენინგის საჭიროებებზე. პროგრამა ევროპული კომისიის „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის 2007-2013 წლების” პროგრამის ნაწილია და მისი მიზანია ევროპის მასშტაბით კვალიფიციური კადრების მომზადება.

„ლეონარდო და ვინჩი“ საშუალებას აძლევს პროფესიულ განათლებაში მომუშავე ორგანიზაციებს, იმუშაონ პარტნიორებთან ევროპის მასშტაბით, გაუზიარონ საუკეთესო პრაქტიკა და მისცენ თანამშრომლებს უფრო მეტი გამოცდილება. ეს შესაძლებლობა პროფესიულ განათლებას უფრო მიმზიდველს გახდის ახალგაზრდებისთვის და ახალი უნარების, ცოდნისა და კვალიფიკაციის დაუფლებით, პროგრამა აამაღლებს ევროპის შრომითი ბაზრის კონკურენტუნარიანობას.

ამ პროგრამით შეუძლია ისარგებლონ როგორც პროფესიული გადამზადების პედაგოგებმა, აგრეთვე, ადამიანებმა, ვინც უკვე გაიარეს ტრენინგი, აგრეთვე, პროფესიული სწავლებისა და გადამზადების პროფესიონალებმა და ამ სფეროში აქტიური ორგანიზაციების ყველა წევრმა.

ესტონეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ტარტუს უნივერსიტეტში ესტონელ სტუდენტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა და წაიკითხა ლექცია თემაზე „დემოკრატიის მეორე ტალღა საქართველოში“, გააცნო საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები. მინისტრმა, ასევე, ისაუბრა პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მნიშვნელობაზე, რომელიც საქართველოში ინგლისურენოვანი პედაგოგების ჩამოყვანას გულისხმობს.

ლექციის შემდეგ გაიმართა შეხვედრა ტარტუს უნივერსიტეტის რექტორ **ალარ კარისთან**. შეხვედრაზე ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობასა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამის გაძლიერებაზე. ამჟამად ტარტუს უნივერსიტეტში ათი ქართველი სტუდენტი სწავლობს.

საქართველოსთვის, ასევე მნიშვნელოვანია ესტონეთის გამოცდილების გაზიარება საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლების გაძლიერების მხრივ. ამ მიზნით, დიმიტრი შაშკინი კივილინას საბუნებისმეტყველო გიმნაზიას ესტუმრა და კიბერნეტიკის კაბინეტში უახლეს მიღწევებსა და სწავლების მეთოდებს გაეცნო.

კულტურული მემკვიდრეობა

აქედან იწყებოდა საქართველო

ისტორიული ნაშთის კვლევები და პერსპექტივები

„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, ან სულაც აქედან იწყებოდა საქართველო – ტაო-კლარჯეთის სამეფო – ფეოდალური პოლიტიკური ერთეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსი. დღეს მოიცავს ერზრუმის, არტაანის, ართვინისა და ყარსის რეგიონებს. სამეფო, რომელიც 809 წელს ქართლის ერისთავმა, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დამაარსებელმა აშოტ I-მა დააარსა. მანვე აღადგინა ციხე-სიმაგრე არტანუჯი, რომელიც სამეფო ცენტრი გახდა. მოგვიანებით, 1001 წელს, სამეფოს ბაგრატ III -მ კლარჯეთი შემოუერთა, ხოლო 1008 წელს – ტაო. ძველთაგანვე ქართველური ტომებით – ჭანებითა და მეგრელებით დასახლებული მხარე, დღეს მკვლევართა ყურადღების ობიექტია, როგორც მხოლოდ ჩვენი ისტორიული წარსული...

* * *

„არავინ იცის, თუ რამდენი წლისაა ეს უზარმაზარი ნაგებობა, იქნებ ათასის, იქნებ უფრო მეტისაც. მის სიდიადეს კი მხოლოდ მაშინ აღიქვამ, როდესაც მიუახლოვდები, შიგნით შეხვალ და მაღლა აიხედავ. ...აქ მცხოვრები ხალხის, მათი დაკარგული სარწმუნოების, მისი ცივილიზაციის ნაშთია იგი“. ეს სიტყვები ტბეთით აღფრთოვანებულ თურქ მწერალ ფაქირ ბაიყურთის ეკუთვნის. წლების განმავლობაში ტაო-კლარჯეთით არაერთი უცხოელი მკვლევარი აღფრთოვანებულა, რადგან ქართველ მკვლევარებს (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), მხოლოდ ორი ათეული წელია, საშუალება მიეცათ, ადგილზე ეკვლიათ ტაო-კლარჯეთის ძეგლები. თუმცა, ქართველი და უცხოელი მკვლევარების ერთად თავმოყრილი მასალები მხოლოდ პირველად, გასულ კვირას, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა წარმოადგინა კონფერენციით: „ტაო კლარჯეთი – ისტორია და პერსპექტივები უახლოესი კვლევების ფონზე“.

პროექტი რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა და მისი მიზანია ტაო-კლარჯეთის შესწავლის სფეროში დაგროვილი ცოდნის შეჯამება, აქტუალური საკითხების წამოწევა. გარდა მკვლევართა საინტერესო მოხსენებებისა, კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა და მსჯელობის საგნად იქცა უნიკალური ძეგლების დაცვა. ოშკი, ხანძთა, ხახული, იშხანი... ეს ძეგლები რომ უნიკალურია, მეცნიერები ამაზე, კარგა ხანია, შეთანხმდნენ, მაგრამ მათ რომ დაცვა და მოვლა სჭირდება, ეს ახლა გაცილებით მნიშვნელოვანია. რეგიონი იზიდავს ტურისტებს მათი უნიკალურობის მოსანახულებლად, მკვლევარებს კი – ამ უნიკალურობის კიდევ უფრო მეტად გამოსამზეურებლად. კონფერენცია – ტაო-კლარჯეთი არქიტექტურით, სახვითი ხელოვნებით, ისტორიით, ისტორიული გეოგრაფიით, ეთნოგრაფიით, ენათმეცნიერებითა და ფოლკლორით – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, მოეწყო გამოფენა „ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა“. იგეგმება კონფერენციის მასალების კრებულის გამოცემა, სახელწოდებით „ტაო-კლარჯეთი“.

პროექტის საბოლოო შედეგი ტაო-კლარჯეთის კვლევითი თემატიკის აქტუალიზაცია, ამ სფეროში მოღვაწე მკვლევართა დაახლოება, დაგროვილი ინტერდისციპლინირებული ცოდნის ურთიერთგაზიარება და საერთაშორისო სამეცნიერო წრეების ინტეგრაციაა, რომლის შესახებ გვესაუბრება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე **თამარ გეგია:**

პირველი მასშტაბური კონფერენცია ტაო-კლარჯეთის შესახებ

2010 წლის დასაწყისში ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა (მაშინდელმა რუსთაველის ფონდმა) გამოაცხადა საგრანტო კონკურსი საკონფერენციო პროექტებისთვის. მაშინვე გადავწყვიტეთ, რომ მოგვემზადებინა პროექტი ტაო-კლარჯეთისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ეს საკითხი ძალიან აქტუალურია და უკვე რამდენიმე წელია, რაც ამ თემატიკაზე მსგავსი ღონისძიების – კონფერენციის ჩატარებას ვფიქრობდით, ეს კონკურსი საუკეთესო საშუალება გამოდგა ჩვენთვის. მოგვეცა შესაძლებლობა, რომ გამოგვეყენებინა შანსი, ანუ საგრანტო პროექტი და ამის ფარგლებში, განგვეხორციელებინა ჩვენი ჩანაფიქრი – კონფერენცია. საბედნიეროდ, პროექტმა რუსთაველის ფონდის დაფინანსება მოიპოვა. დავუკავშირდით რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელს – ხელოვნებათმცოდნეებს, ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, ეთნოგრაფებს, ვინც კონკრეტულად ტაო-კლარჯეთის რეგიონით და მისი შესწავლითაა დაკავებული. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 7 ქვეყნის წარმომადგენელმა: აშშ, დანია, რუსეთი, თურქეთი (რაც განსაკუთრებულად საინტერესოა), სომხეთი, თავისთავად საქართველო. კონფერენციას ჰქონდა რამდენიმე ძირითადი მიმართულება – საისტორიო კვლევები, ფილოლოგიური ხასიათის კვლევები, ხელოვნებათმცოდნეობითი მიმართულება – ეთნოგრაფია-ეთნოლოგია, დაბოლოს, წარიმართა ძალიან საინტერესო პრეზენტაციები, რომლებიც ეხებოდა ტაო-კლარჯეთის ძეგლების დიგიტალიზაციას და მათი ციფრული (სამგანზომილებიანი) ასლების შექმნას.

ინტერესი, როგორც ისტორიული რეგიონისადმი

რაც შეეხება თემის აქტუალობას, ტაო-კლარჯეთისადმი, როგორც საქართველოს ისტორიული რეგიონისადმი, ინტერესი მეცხრამეტე საუკუნეში იწყება და პირველად იკვლევენ უცხოელი მკვლევარები: კოხი, სპენსერი და სხვ. უფრო – გერმანელი მოგზაურები. დაახლოებით მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ქართველი მკვლევარებიც იწყებენ მოგზაურობას. ექვთიმე თაყაიშვილმა სამი ექსპედიცია მოაწყო ტაო-კლარჯეთში, პრაქტიკულად მთელი ეს ტერიტორია მოიარა და აღწერა ძირითადი ციხე-სიმაგრეები და ტაძრები, მათი ფოტოგრაფირებაც მოახდინა. ასე რომ, ექვთიმე თაყაიშვილი იყო ქართველთაგან პირველი, ვინც ამ რეგიონის შესახებ ინფორმაცია დანარჩენ საქართველოს მიაწოდა. შემდგომში, უკვე საბჭოთა პერიოდში, რუსეთ-თურქეთს შორის გართულებული ურთიერთობის გამო, ქართველ მკვლევარებს არ ჰქონდათ საშუალება, გადასულიყვნენ და ადგილზე ეკვლიათ ტაო-კლარჯეთი. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის უცხოელი მკვლევარების ნამუშევრები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველი ემიგრანტის, ვახტანგ ჯობაძის კვლევები, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობდა და ცხოვრება ტაო-კლარჯეთის კვლევას მიუძღვნა, ამ თემაზე რამდენიმე სერიოზული მონოგრაფიაც გამოაქვეყნა. ეს იყო პირველი წყარო, უკვე მეოცე საუკუნეში, რომლის დახმარებითაც ქართველ მეცნიერებს შეეძლოთ, ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესახებ გაეგოთ რამე. შემდგომ, 90-იანი წლებიდან, როცა საზღვრები გაიხსნა, ქართველ მეცნიერებს თურქეთში გადასვლის და ადგილზე კვლევის საშუალება მიეცათ. მოეწყო რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია, მათ შორის მაშინდელი ხელნაწერთა ინსტიტუტის, ისტორიის ინსტიტუტის, ხელოვნების ინსტიტუტის, უნივერსიტეტის თანამშრომლების და დაგროვდა სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია იქიდან გამომდინარე, რა ტიპის ექსპედიციები ეწყობოდა – საისტორიო-გეოგრაფიული, საისტორიო, ეთნოგრაფიული და ა.შ. შეიქმნა სურათი, რომ სხვადასხვა მიმართულებით საკმაოდ დიდმა მასალამ მოიყარა თავი, უბრალოდ, ერთად თავმოყრილი მასალა დღემდე არ ყოფილა წარმოდგენილი და შეჯამებული. ჩვენს კონფერენციაზე სწორედ ეს გაკეთდა – სხვადასხვა მიმართულება ერთად წარმოვადგინეთ, შევაჯამეთ და, პრაქტიკულად, დამსწრეებს მეტ-ნაკლებად სრული სურათი შევუქმენით ზოგადად ტაო-კლარჯეთის რეგიონის შესახებ – ისტორია, კულტურა, თანამედროვე ყოფა და ა.შ. ცალკე მიმართულება იყო კულტურული ტურიზმი – აქტუალური თემაა, რადგანაც დღითი-დღე იზრდება ტურისტების რიცხვი, რომელთაც ტაო-კლარჯეთის ისტორიული ძეგლების მონახულება აინტერესებთ. იქიდან გამომდინარე, რომ თვითონ თემა იყო საკმაოდ ფართო და საინტერესო, დიდი იყო საზოგადოების ინტერესი, საკმაოდ ბევრი ადამიანი ესწრებოდა კონფერენციას, ისმენდა და თვალს ადევნებდა ტაო-კლარჯეთის თანამედროვე კვლევის პროცესებს.

ისტორია და რეალური პერსპექტივები

დავიწყოთ ოპტიმისტური განწყობით, რადგანაც დღევანდელი მდგომარეობა გაცილებით კეთილსაიმედოა, ვიდრე ეს იყო, თუნდაც რამდენიმე წლის წინ. ალბათ, იცით, რომ ძეგლები, რომლებიც ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზეა განთავსებული, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, განსაკუთრებით ეს ხანძთის და ოშკის ტაძრებს ეხება. სულ რამდენიმე წელია, ხაძცთის გუმბათი ჩამოინგრა, ეს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დანაკლისია, რაც ბოლო წლებში ტაო-კლარჯეთის ძეგლებმა განიცადა. საგულისხმოა, რომ ტაძრების ნაწილში დღეს მეჩეთებია

10

ბერთის სახარება. XII საუკუნე



წყاროსთავის სახარება. XII საუკუნე

მიქაელ მოდრეკილის იადგარი. X საუკუნე

კულტურული მემკვიდრეობა



ოშკი. მანანა ქენქაძის ფოტო

აქედან იწყებოდა საქართველო

ისტორიული ნაშთის კვლევები და პერსპექტივები

გახსნილი და სწორედ იმ ტაძრების მდგომარეობა, სადაც მეჩეთები ფუნქციონირებს, გაცილებით უკეთესია. ბუნებრივია, მოქმედია და უფრო უვლიან. მიტოვებული ტაძრების მდგომარეობა უფრო მძიმეა. თავად თურქეთის სახელმწიფოს მიდგომა ბოლო წლებში, როგორც ჩანს, შეიცვალა და ქრისტიანულ ძეგლს უკვე უყურებენ არა როგორც საფრთხეს, არამედ – კულტურული ტურიზმის ობიექტს. ასე რომ, მათ ინტერესშიცაა, რომ ეს ძეგლები მოვლილი და დაცული იყოს. ბოლო ორი წელია, მიმდინარეობს მოლაპარაკება ოშკის და ხანძთის ტაძრების, პირველ რიგში, სამეცნიერო შესწავლაზე და შემდგომ კონსერვაციაზე. ამის შემდგომ განისაზღვრება, როგორ უნდა მოხდეს ამ ტაძრების რესტავრაცია, თუკი საერთოდ დაისვა რესტავრაციის საკითხი. ლაპარაკი იყო ერთგვარ გაცვლით პროექტზეც, რომლის თანახმადაც, საქართველოს ტერიტორიაზე რესტავრაცია უნდა ჩაგვეტარებინა რამდენიმე მეჩეთისთვის, სანაცვლოდ, შევძლებდით ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე იმდენივე ტაძრის რესტავრაციას. ამ ეტაპზე, ეს პროცესი შეჩერებულია, ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა, თუმცა, არსებობს ოპტიმისტური გეგმები.

გადავარჩინოთ ოშკი და ხანძთა!

ყველაზე მძიმე მდგომარეობაში, ამ ეტაპზე, ხანძთა და ოშკია. ოშკი გარეგნულად, თითქოს სხვა ტაძრებთან შედარებით, კარგად გამოიყურება, მაგრამ მდგომარეობას ის ართულებს, რომ გუმბათქვეშა ბზარებში ამოსვლას იწყებს მცენარეული საფარი, რომელიც, ბუნებრივია, ფესვებს იდგამს და ტაძრის რღვევას, ნგრევას იწვევს. პირველ ყოვლისა, საჭიროა გასუფთავება, მაგრამ ქართული მხარე ამას დამოუკიდებლად ვერ გააკეთებს, საჭიროა თურქული მხარის თანხმობა. ეს უნდა იყოს ერთობლივი პროექტი – თურქი და ქართველი რესტავრატორების მონაწილეობით. ამ მხრივ, მიმდინარეობს მოლაპარაკება. კონკრეტულად დღეს და ხვალ ეს საკითხი ვერ გადაწყდება, რადგანაც რთული და კომპლექსური პრობლემაა, სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა მოხდეს შეთანხმება.

ქართულ სახელმწიფოს ვერ დავადანაშაულებთ იმაში, რომ აქამდე ეს ძეგლები ვერ აღდგა, მცდელობები მუდმივად იყო, მაგრამ თურქეთის სახელმწიფო ამისთვის მზად არ იყო.

იყო პერიოდი, როცა ვიდეო და ფოტოკამერებით გადაღებაც კი იკრძალებოდა, ტაო-კლარჯეთის მოსანახულებლად ჩასულს მუდმივად თურქი პოლიციელები დაგყვებოდნენ და შენს ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდნენ. ბოლო რამდენიმე წელია, თურქეთის სახელმწიფომ ამ საკითხისადმი დამოკიდებულება შეცვალა და ამიტომაც გახდა შესაძლებელი, უფრო აქტუალური გამხდარიყო ამ საკითხებზე საუბარი.

ენთუზიაზმზე შექმნილი ტრიდე ვიზუალიზაცია

ციფრული ასლების შექმნა რამდენიმე მკვლევარის პირადი ინიციატივაა, ერთ-ერთი მათგანი საკუთარი სახსრებით წავიდა ტაო-კლარჯეთში და ოშკის მთლიანი აზომვა მოახდინა სამგანზომილებიანი სკანერით. ეს რეალურად იძლევა შესაძლებლობას, ელექტრონულ ფორმატში მოხდეს ამ ძეგლის დათვალიერება გარედანაც და შიგნიდანაც და თვითონ ამ ელექტრონულ ვერსიაზე მოხერხდეს, ისევ კომპიუტერულად, ერთგვარი მაკეტის დადგმა, ანუ როგორ შეიძლება შემდგომ ამ ძეგლის რესტავრაცია. მალხაზ დათუკიშვილმა ოშკის ტრიდე ვიზუალიზაცია აბსოლუტურ ენთუზიაზმზე გააკეთა.

რაც შეეხება კონფერენციის მეორე მონაწილეს, ივანე გრემელაშვილს, ის ტაო-კლარჯეთის ძეგლების არქიტექტურულ მხარეს სწავლობს. ეს მკვლევარიც სამგანზომილებიანი გამოსახულების შექმნაზე მუშაობს, არც ეს ყოფილა სახელმწიფო დაკვეთა. ეს პროექტები მკვლევარების პირადი ინიციატივაა.

როგორ გამოიყურება ლაზი მამაკაცის სამოსი?

ღონისძიების ფარგლებში, წარმოდგენილი იყო მამაკაცის ლაზური სამოსი, ეს ფაქტი ძალიან საინტერესო იყო, რადგანაც ლაზურ სამოსს აქამდე ჩამოყალიბებული სახე არ ჰქონია – რა ეცვათ ლაზ მამაკაცებს ან რა აღჭურვილობა ჰქონდათ. სწორედ ამ დღისთვის შეიმოსა ერთ-ერთი ყმაწვილი, რომელმაც კონფერენციის მონაწილეებს ლაზური სამოსი აჩვენა. მართლაც ძალიან საინტერესო იყო აჭარული სამოსის მსგავსი, გურული ყაბალახით შემდგარი ლაზური კოსტიუმი, რომელიც ლუარსაბ ტოგონიძემ შეკერა. ქართული სამოსის მაღაზიის დაარსების იდეაც სწორედ მას ეკუთვნის, ჯერ ყველასთვის ცნობილი სამოსის შეკერვა დაიწყეს – ჩოხა-ახალუხი და ბოლოს უცნობ ან ნაკლებად ცნობილ ქართულ სამოსამდე მივიდნენ. ლუარსაბი ქართული სამოსის ყველა დეტალს იკვლევს და ეძებს. გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ აჭარელი ქალის სამოსის მსხვილი ქამარი, სუხიშვილების მიერ, სოლიკო ვირსალაძის კოსტიუმით დამკვიდრდა, ლუარსაბის მიერ მოძიებულმა ფოტომასალამ შეცვალა. მისი მტკიცებით, ფოტომასალაზე ჩანს მსგავსი აქსესუარები. ასე რომ, ძალიან საინტერესოა ამ მიმართულებით მუშაობა, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ ძალიან მწირია ინფორმაცია და მასალა ქალის სამოსზე. რაც შეეხება ლაზი მამაკაცის სამოსს, რომელიც ბატონმა ლუარსაბმა შეკერა, კიდევ გავიმეორებ, ფანტაზიის ნაყოფი არ არის, რადგანაც ფოტო და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით შეიქმნა.

ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა

ამ კონფერენციის ფარგლებში, მოეწყო გამოფენა „ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა“. სათაურიდანვე ჩანს, რომ გამოიფინა ის ხელნაწერები და ძეგლები, რომლებიც ტაო-კლარჯეთს უკავშირდება, ან ტაო-კლარჯულ კერებშია გადაწერილი, ან მასში მოიხსენიება ტაო-კლარჯეთის რომელიმე ძეგლი, იქ მოღვაწე პირი და ა.შ. ბუნებრივია, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კერების დაარსება გრიგოლ ხანძთელის სახელს უკავშირდება და ამიტომაც წარმოდგენილია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაც. გამოფენის კონცეფცია ასეთი იყო – წარმოდგენილია მასალა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კერების მიხედვით, ანუ სადაც მიმდინარეობდა სამონასტრო ცხოვრება და იქმნებოდა ეს ხელნაწერები. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ექსპოზიციაზე უნიკალური მასალაა გამოფენილი. დავიწყოთ იქიდან, რომ მათი ქრონოლოგია მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების ირგვლივ ტრიალებს, ეს ის პერიოდია, როცა ზოგადად ქართული ხელნაწერი კულტურის აყვავების ხანაა, ემთხვევა გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის პერიოდს. გამოფენაზე როგორც ვიზუალურად, ისე შინაარსობრივად განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხელნაწერებია წარმოდგენილი, სულ რამდენიმეს გამოვყოფ: მაგალითად, ბექა და ბეშქენ ოპიზრების მიერ მოჭედილი „წყაროსთავის“ და „ბერთის“ სახარებები – ვერცხლით მოჭედილი და შემდეგ მოოქროვილი სახარებები თამარის პერიოდს უკავშირდება; გარდა ამისა, მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“, რომელიც საგალობლების კრებულია და მეათე საუკუნით თარიღდება, უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ შესულია უძველესი დროის ქართული საგალობლები თავისი სანოტო ნიშნებით. სამწუხაროდ, ეს ნიშნები ბოლომდე გაშიფრული არ არის; ასევე, გამოფენაზე წარმოდგენილია „პარხლის“ მრავალთავი, უმნიშვნელოვანესი ძეგლი. თვითონ ძეგლი X-XI საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ სხვადასხვა ხასიათის ტექსტების კრებულს წარმოადგენს და აქ გვხვდება პირველად „შუშანიკის წამება“, ანუ ეს ხელნაწერი ადასტურებს „შუშანიკის წამების“ ტექსტს; „ჯრუჭის“ სახარება, რომელიც შატბერდის მონასტერს უკავშირდება და იქ არის გადაწერილი. ძეგლები მრავალფეროვანია როგორც თავისი წარმოშობით, ისე შინაარსით.

გამოფენა კიდევ ორი კვირა გაგრძელდება და ვისაც არ უნახავს, ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა, ნახოს ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა. გარდა ამისა, გამოფენაზე წარმოდგენილია: ექვთიმე თაყაიშვილის ფოტომასალა მოგზაურობებიდან და ექსპედიციის დღიურების ერთი ნაწილი; საარქივო მასალა, რომელიც სხვადასხვა პერიოდის მოგზაურებს ეხება, მათი ჩანაწერები. ცალკე კუთხე დაეთმო ჩვენთან დაცულ ქართულ თუ უცხოურ სამეცნიერო გამოცემებს.

შვიდი ქვეყნის მკვლევარები ტაო-კლარჯეთმა გააერთიანა

რამდენიმე მკვლევარს გამოვყოფ: ერთ-ერთი ავსტრიელი მკვლევარი ბრუნო ბაუმგარდნერი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობს ტაო-კლარჯეთის ძეგლების კვლევაზე, მან სადისერტაციო ნაშრომიც მიუძღვნა ამ თემას. ვახტანგ ჯობაძის შემდეგ, პრაქტიკულად, ეს პირველი მკვლევარი იყო, ვინც ასეთი მასშტაბური კვლევა აწარმოვა ტაო-კლარჯეთის ძეგლებზე. ქართველი მკვლევარებისათვის უცნობი ბევრი ძეგლის ლოკალიზება და იდენტიფიკაცია სწორედ ბაუმგარდნერმა მოახდინა. მას ძალიან საინტერესო შემაჯამებელი მოხსენება ჰქონდა ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესახებ. ასევე საინტერესო მონაწილე გვყავდა დანიიდან, ახალგაზრდა მკვლევარი მარკუს ბოგიში, ხელოვნებათმცოდნე. ის აქტიური გულშემატკივარია ტაო-კლარჯეთის ძეგლების, სწორედ მისი ინიციატივით შეიქმნა სოციალურ ქსელზე – facebook სპეციალური ჯგუფი „გადავარჩინოთ ოშკის ტაძარი“, რომელშიც უკვე 7000-მდე გულშემატკივარი გაერთიანდა. ჩამოსულები იყვნენ: ამერიკაში მოღვაწე, წარმოშობით სომეხი, ხელოვნებათმოცოდნე კრისტინა მარანჩი, ასევე ძალიან ცნობილი სომეხი ქართველოლოგი პარუირ მურადიანი; რუსი ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრე სამინსკი. ეს ადამიანები ცნობილი მკვლევარები არიან თავიანთ სფეროებში და სასიამოვნოა, რომ მათ ტაო-კლარჯეთთან მიმართებაშიც აქვთ კვლევები.

გარდა იმისა, რომ მოხსენებები მართლაც საინტერესო იყო, დიდი დრო ეთმობოდა დისკუსიებს თითოეულ საკითხზე. საინტერესო იყო ისიც, რომ უცხოელი მკვლევარებისთვის ქართველ მკვლევართა მოხსენებებში ბევრი სიახლე იყო. კრისტინა მარანჩი იმასაც კი ამბობდა – წიგნს, რომელიც უკვე გამოსაცემად მაქვს მზად, ალბათ, კიდევ დასჭირდება ჩასწორება, რადგან აქ ბევრი ახალი რამ შევიტყვეო. ასე რომ, კონფერენცია ორმხრივად საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

სოფლის სკოლა

ყურადღება რწმენითა და იმედით გვავსებს

ამგვარ ყოფაში დღეს ბევრი სოფელია საქართველოში. ერთ-ერთ მათგანზე ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გიამბეთ. ამჟამად რაჭიდან გვწერს ამბროლაურის რაიონის სოფელ ველევის საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ეკატერინე ჭიჭინაძე**. იგი იმ 4000 ლარის სკოლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე საუბრობს, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ მცირეკონტინგენტიან სკოლას საჩუქრად გადასცა. *„იყო დრო, როცა აქ პარალელური კლასები იყო, მაგრამ ახლა, შეჭირვებულმა ეკონომიკურმა პირობებმა დაცალა თემი,* – წერს ქალბატონი ეკატერინე, – *მიდიხარ გზაზე და თვალს არიდებ გამოკეტილ კარებს, ბოქლომდადებულ ჭიშკრებს, გადაქცეულ ხიმეებს... ნატრობ იმ დროს, როცა ავტობუსი ხალხით იყო სავსე და დღეში სამ რეისს აკეთებდა. ახლა მხოლოდ კვირა დღეს დადის და მაშინაც ვერ იტვირთება, რაიონის ცენტრამდე კი 19 კილომეტრია, გამვლელი მანქანაც არ არის, რადგან ამ თემში გავლით ვერ მოხვდები – რაჭის ქედის მთებს შორის ჩიტის ბუდესავით არის მოქცეული, მთის იქით კი იმერეთია. ბევრი რამ გვაკლია, ზოგჯერ, აზრის გამზიარებელი ადამიანიც გვენატრება, მაგრამ ყველაფერს გვავიწყებს ცოდნის შეძენის წყურვილით ანთებული თვალებით მომზირალი ის თითო-ოროლა ბავშვი, რომლებიც იმედით შემოგცქერიან და ყოველი სასწავლო წლის დაწყებას, უფროსებთან ერთად, სკოლის დახურვის შიშით ელიან... ბევრი რამის გარეშე გაძლებს სოფელი, სკოლის გარეშე კი ვერა. მთის სოფლის სკოლის პრობლემები გიათკეცებს სურვილსა და პასუხისმგებლობას... ყველა ბავშვს ხომ უფლისგან მომადლებული უნარი აქვს, რომლის შეცნობასა და განვითარებაში უნდა დაეხმაროს მასწავლებელი, ამიტომაც ეძიებ გამუდმებით.*

„ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნებს, მოცავ ხვდების“ – ბრძანებს რუსთაველი და ჩვენც გაგვიღიმა ბედმა“.

სკოლა, რომლის შესახებაც ქალბატონი ეკატერინე წერს, თავისი აქტიურობით ერთ-ერთი გამორჩეულია რაიონში. ველევის სკოლის მოსწავლეები ყოველწლიურად მონაწილეობენ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონკურსებში, მოპოვებული აქვთ უამრავი დიპლომი, სიგელი და მადლობა. *„ეს ჩვენი სკოლისთვის ჩვეულებრივი რამ არის,* – წერს დირექტორი, – *უჩვეულო ჩვენი საქმიანობის თქვენეული შეფასებაა... ეს ყურადღება მითიური ანთეოსივით გვავსებს რწმენით, იმედითა და ენერგიით“.*

მთის სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია მართლაც სერიოზული პრობლემაა და მისი მოგვარება, ალბათ, განსაკუთრებულ სახელმწიფო სტრატეგიას მოითხოვს, მაგრამ ვიდრე ასე მოხდება, თითოეული სკოლის შენარჩუნებაც დიდი საქმეა, რადგან ეს სოფლის შენარჩუნებასაც გულისხმობს, მით უმეტეს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ერთი სკოლის გადასარჩენად 4000 ლარიც საკმარისი აღმოჩნდა. განათლების მინისტრმა ამ გულისხმიერებისთვის პედაგოგიური კოლექტივის, მშობლებისა და მოსწავლეების გულითადი მადლობა დაიმსახურა.

საქართველოს ეთნოსთაშორისი და რელიგიათშორისი ურთიერთობები

როგორც განსხვავებული კანის ფერისადმი, ასევე განსხვავებული მენტალიტეტისადმი, განსხვავებული აზრისადმი ტოლერანტობა დემოკრატიული საზოგადოებისათვის შესაფერის ღირებულებათა დამკვიდრების მთავარი წინაპირობაა. ამ მხრივ გამოირჩევა საქართველო, სადაც თავს დაცულად გრძნობდნენ არაქართული და არაქრისტიანი მოსახლეობის წარმომადგენლები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ეთნოსთაშორისი და რელიგიათშორისი ურთიერთობები, რასაც ისტორიული კუთხით განვიხილავთ: მეფე დავით აღმაშენებელმა, უდიდესმა მცოდნემ არაბული ენისა და ისლამის სარწმუნოებისა, არაბი ისტორიკოსის ალ ფარიკის ცნობით, რომელიც თითქმის თანამედროვე იყო დავით აღმაშენებლისა, მუსლიმანებს უფლება მისცა, მეჩეთში პარასკეობით წარმოეთქვათ ხოტბა, ელოცათ, მოეხსენებინათ ხალიფაც და სულთანიც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოწინააღმდეგენი იყვნენ. აღმაშენებელმა მაშინდელ მსოფლიოს აჩვენა რელიგიური ტოლერანტობის ნამდვილი სახე – მშვიდობიანად ეარსებათ და ეცხოვრათ ერთმანეთის გვერდით.

საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელია, ჩვენთან თავისუფლად ცხოვრობენ და მოღვაწეობენ მუსლიმანები, ებრაელები, პროტესტანტები და ლუთერანები. მართლმადიდებლური რელიგია სხვა რელიგიების მიმართ ყოველთვის შემწყნარებელი იყო. სამწუხაროდ, ქრისტიანულ რელიგიაში არის მიმდინარეობები, რომელთაც ისტორიის მანძილზე რეაქციული ქმედებები ახასიათებდათ. მაგ: კათოლიკური ინკვიზიცია, როცა ადამიანებს წვავდნენ და დევნიდნენ. მართლმადიდებლურ ეკლესიას და, მით უმეტეს, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, მსგავსი რამ არ ჩაუდენია. ჩვენი სარწმუნოება და ეკლესია ყოველთვის ტოლერანტული იყო. ჩვენთან არც ათეისტების, არც მუსლიმანების და არცერთი რელიგიის დევნა-შევიწროების ფაქტი არ დაფიქსირებულა. საქართველოს ეკლესია და ქართული სახელმწიფო ამ თვალსაზრისით გამორჩეულია.

დასავლური სამყაროსთვის ისტორიულად ცნობილია ტოლერანტული პოლიტიკური მოწყობა და ტოლერანტული საზოგადოება.

ტოლერანტობის ცნება, გაგებული, როგორც მაორგანიზებელი განწყობა და მისწრაფება, მრავალფეროვანია. სათავეს XVI-XVIII ს-ის რელიგიური შემწყნარებლობის პრაქტიკიდან იღებს, როცა მისი მეშვეობით მშვიდობა ნარჩუნდებოდა და ის კონფესიებს შორის მხოლოდ განყენებულ, დამთმენ, ამტან დამოკიდებულებას გულისხმობდა.

ტოლერანტობის გამოვლენის ერთ-ერთი სახე განსხვავებულის მიმართ ღიაობას, დაინტერესებას, პატივისცემას, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლებას უკავშირდება. ტოლერანტობა ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში, ანუ, როგორც ნეტარი ავგუსტინე ამბობდა, ტოლერანტობა ესაა: „მთავარში – ერთობა, საკამათოში – თავისუფლება, ყველაფერში – სიყვარული".

ჩვენი მასწავლებელი არა სიტყვა და აზროვნება, არამედ რწმენა და ტოლერანტობაა. შეუწყნარებლობის დამარცხება სწორედ რწმენითა და ტოლერანტობითაა შესაძლებელი. ჩვენ სწორად უნდა ვიაზროვნოთ, ეს იქნება ჩვენი ზნეობის საფუძველი, ხოლო მორალზე უარის თქმა საბოლოოდ მიგვიყვანს სულიერ გაკოტრებამდე. ქვეყანაში რელიგიური ტოლერანტობის დამკვიდრება შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული, სამოქალაქო ღირებულებების სისტემის დამკვიდრების სახით.

ჟამთასვლის შედეგად დაგვავიწყდა ჩვენი იდეალები და პრინციპები, ქართველი ადამიანის ბუნებრივი გენი, დიპლომატია, მიმტევებლობა, ერთმანეთის მოსმენა, მოთმენის ნიჭი და ტოლერანტობა, საქართველოს ეთნოსთაშორისი და რელიგიათშორისი ურთიერთობები, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ჩვენი ქვეყანა.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა სისასტიკემ, გულგრილობამ, მიუტევებლობამ. თუ გადავხედავთ საქართველოს ბოლო წლების სტატისტიკას, 1998-2004 წლებში, საქართველოში, წელიწადში, დაახლოებით 350 მკვლელობა და მკვლელობის 500-მდე მცდელობა ხდებოდა, რაც შეეხება ბოლო 5 წლის სტატისტიკას, მიუხედავად დანაშაულთა საგრძნობი კლებისა, საქართველოში, წელიწადში, დაახლოებით, 240-260 განზრახ მკვლელობა და მკვლელობის 300-მდე მცდელობა ხდება. სახელმწიფომ საზოგადოებასთან ერთად უნდა იზრუნოს ქვეყანაში, განსაკუთრებით მომავალი თაობების ჩამოყალიბებაში, ქრისტიანული ღირებულებების დამკვიდრებასა და ტოლერანტული გარემოს შექმნაზე.

თანამედროვე ქართველები დარწმუნებულები არიან, რომ უძველესი დროიდან ტოლერანტობის მაგალითის მიმცემნი იყვნენ სხვა ერებისათვის. ერთი მხრივ, ფაქტია, რომ სხვადასხვა ეროვნების ჯგუფები მკვიდრდებოდნენ და უსაფრთხოდ ცხოვრობდნენ საქართველოს მიწაზე (ცნობილია ებრაელთა 26-საუკუნოვანი ისტორია საქართველოში). მეორე მხრივ, საქართველოში მეოცე საუკუნის მიწურულს აღზევებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ქსენოფობიური გადახრებიც ახასიათებდა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში არსებულ ავტონომიებში ცენტრიდანულ პროცესებს, ეთნო-ტერიტორიულ კონფლიქტებსა და მესამე ძალთა მხრიდან მათ მანიპულირებას. საზოგადოებას, რომლის უდიდეს ნაწილს არ გააჩნია დემოკრატიის პირობებში ცხოვრების გამოცდილება, ყოველდღიურად უხდება რეფლექსიის ჩატარება და განვლილი გზის კრიტიკულად შეფასება. დადებითი ფაქტია ის, რომ საქართველოში ტოლერანტობა უძველეს ეროვნულ ტრადიციად მიიჩნევა, რაც სამომავლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს გზიდან არგადახვევის სერიოზული ფაქტორია.

ქართული სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ქართული ფენომენის დაცვა და მის განვითარებაზე ზრუნვა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, რაც საქართველოს მცირერიცხოვან მოსახლეობას უდგას 21-ე საუკუნეში.

გლობალიზმის ეპოქაში, მრავალრიცხოვან ქვეყნებს შორის მოქცეული ქვეყნისთვის, სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოდგენს როგორც პროგრესისთვის ფეხის აწყობა, ასევე საკუთარი უნიკალური სახის შენარჩუნება, სხვა ერებს შორის ღირსეულად დგომა და ქართული მსოფლაღქმით კაცობრიობის გამრავალფეროვნება.

ტოლერანტობა და გახსნილობა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის კულტურათა მიმართ, მისი შეცნობა-გათავისება და, ამავე დროს, შენარჩუნება საკუთარი მეობისა, არის ქართული კულტურის დაყოფის მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რაც განაპირობებს მის უნიკალურ ხასიათს.

ტრადიციულ ჰუმანიტარულ აზროვნებაში ტოლერანტობა გაგებულია ამ სიტყვის ლათინური ძირის შესაბამისად, როგორც „ამტანობა", „შემწყნარებლობა". საზოგადოებრივ ცნობიერებაში ტოლერანტობა განსხვავებულისათვის არსებობის უფლების აღიარებაა. აუცილებელი არაა განსხვავებულის მიმღებლობა ან მოწონება. ტოლერანტობა მხოლოდ წინაპირობაა ინტეგრაციისა, რომელიც ნამდვილად ღირებულ თანაცხოვრებას უდევს საფუძვლად. აუცილებელია იმის გააზრება, რომ ტოლერანტობა პოლიტიკური და სოციალური ბალანსის, სტაბილურობის აუცილებელი პირობაა.

მეცნიერებაში ტოლერანტობა განიმარტება როგორც რეფლექსური და სიმეტრიული ბინარული მიმართება, რომელიც ექვივალენტობის ცნებისგან იმით განსხვავდება, რომ ტრანზიტულობის მოთხოვნა აუცილებელი არაა. ამ განმარტებაში ასახულია რეალურ მოვლენათა ისეთი თვისებები, როგორიცაა მსგავსება და ცვლილებების თანდათანობითობა. მაგალითად, ადამიანი განუწყვეტლად ბერდება, მაგრამ ეს მხოლოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ შეიმჩნევა, ანუ ითვლება, რომ ის ტოლერანტულად იცვლება.

ტოლერანტობა თავისი ფესვებით ეყრდნობა ჰუმანიზმს. იდეა იმაშია, რომ მხოლოდ თავისუფალი პიროვნება შეიძლება, გახდეს საფუძველი სტაბილური საზოგადოებისა. მისი ფუნდამენტალური პრინციპები მოიცავს: განსხვავებული ნაციონალობის, რასის, სქესის, ასაკის, ენის, რელიგიის, სოციალური და ეთნიკური წარმომავლობისა და სხვის მიმართ მომთმენ დამოკიდებულებას.

ტოლერანტობა მოვლენათა შეფასებაში შავ-თეთრი სურათის დაშვებასაც კი გამორიცხავს. რაც ნაკლებია საზოგადოებაში ტოლერანტობა, მეტია აუტანლობა. შესაბამისად, უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ განსაკუთრებით, ადამიანის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობა უბრალოდ შეუწყნარებლობა კი არა, სრული აუტანლობაა (რელიგიურ სფეროში ეს, მაგალითად, ისლამური ფუნდამენტალიზმის ქვეყნებში ვლინდება).

ჩემი აზრით, ქვეყანაში ტოლერანტული პოტენციალის განვითარება მოხდება მაშინ, თუ საზოგადოება გახდება უფრო ურთიერთგამგები, მოსიყვარულე, კეთილშობილი, სოლიდარული და ჰუმანური.

როცა ქვეყანაში ფართოდ მოიკიდებს ფეხს ტოლერანტული გარემო, თავისი მრავალფეროვნებითა და განვითარების პოტენციალით, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ფართო საზოგადოებამ. შემთხვევითი არაა, რომ საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი ამბობს: „ჩვენი მრავალეთნიკურობა არა სისუსტე, არამედ ჩვენი ძალა".

დაბოლოს, სხვაგვარის მიმართ პატივისმცემლური დამოკიდებულება, ესთეტიკური აღიარება, რომლითაც განსხვავებები სამყაროს კულტურულ ხატად არის აღქმული, ტოლერანტობის ყველაზე განვითარებულ სახეს წარმოადგენს.

ნია ხუროშვილი

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის პროექტზე მუშაობა დაასრულა. მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და ცენტრის დირექტორმა **ნათია ჯოხაძემ**,ჩსასტუმრო „რედისონში", სასწავლო გეგმის პროექტის პრეზენტაცია გამართეს. შეხვედრას ესწრებოდნენ: განათლების ექსპერტები, სამეცნიერო სფეროს, უმაღლესი სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წარმომადგენლები.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ეტაპობრივად დაინერგება – 2011-2012 სასწავლო წელს სკოლის პირველ საფეხურზე (დაწყებითი – I-VI კლასი) ამოქმედდება, ხოლო 2012-2013 სასწავლო წელს კი – მეორე საფეხურზე (საბაზო და საშუალო – VII-XII კლასი).

შეიცვალა ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურა, ცვლილებები შევიდა საგნობრივ პროგრამებში, ყოველ საგანში გათვალისწინებულია შინაარსის სულ მცირე 60%-დან 80%-მდე სავალდებულო ნაწილი, შემოვიდა ახალი საგნები, კერძოდ: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, ცეკვა. დაიწყო ახალი საგნის „მსოფლიო კულტურის" პილოტირება, 2011 წლიდან ეს საგანი ყველა სკოლაში დაინერგება. გაძლიერდა საბუნებისმეტყველო საგნებისა და ინგლისური ენის სწავლება, გაიზარდა არჩევითი საგნების ჩამონათვალი და სხვ.

ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას საფუძვლად უდევს ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო ტრადიციები. სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს ისეთი პროგრამების შექმნას, რომელთა თანამედროვე, მეთოდურად სწორი სწავლების შედეგად, ჩვენი მოსწავლეები მიიღებენ თანამედროვე ეპოქისთვის საჭირო ზოგად განათლებასა და უნარ-ჩვევებს.

სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტებთან ერთად, პროექტზე მუშაობდნენ სამეცნიერო სფეროს, უმაღლესი სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წარმომადგენლები, ფსიქოლოგები და განათლების ექსპერტები; შექმნილი იყო საგნობრივი სამუშაო ჯგუფები, გაერთიანებული საგნობრივი კომისიები და მეთოდური საბჭო; სხვადასხვა ჯგუფებში მუშაობდა 150-მდე ადამიანი.

ნათია ჯოხაძე, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი: *„ეროვნული სასწავლო გეგმა ის ფუნდამენტური დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც მუშაობს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემები. ეროვნული სასწავლო გეგმა ორი ნაწილისგან შედგება: ადმინისტრაციული და საგნობრივი პროგრამები.*

2011-16 წლების სასწავლო გეგმაში, რომელსაც დღეს ჩვენ წარმოვადგენთ, გათვალისწინებულია რიგი ცვლილებები, რომელთა მიზანია მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სწავლება, ანუ ამ სასწავლო გეგმის წარმატებით განხორციელების შემდეგ, ჩვენ გვეყოლება მოსწავლე, რომელიც ფლობს თანამედროვე ეპოქისთვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ დოკუმენტში".

დიმიტრი შაშკინი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა განათლების სისტემისთვის – ხდება პრეზენტაცია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის, რომელიც შევა ძალაში 2011წელს I-VI კლასების ჩათვლით, ხოლო 2012 წლიდან – VII-XII კლასებში. ეს არის ხარისხობრივად სხვა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც აგვარებს ყველა იმ პრობლემას, რაც წლების განმავლობაში აწუხებდა ჩვენს სისტემას. პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ჰუმანიტარულ დისციპლინებში იქნება 60%-იანი სავალდებულო კომპონენტი, ხოლო საბუნებისმეტყველოში – 80%-იანი. რას ნიშნავს ეს? თუ ადრე სკოლა, მასწავლებელი წყვეტდა 100%-ით, როგორ და რა მასალით ასწავლიდა ბავშვებს, ახლა უკვე სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას თავის თავზე. VII კლასში, წელს პირველად, შედის ახალი საგანი, რომელსაც, პირობითად, ერქმევა „მეცნიერება". ის გააერთიანებს ერთი წლის განმავლობაში ფიზიკას, ქიმიასა და ბიოლოგიას. VIII კლასიდან ეს სამი საგანი დაიყოფა. VII კლასის ამოცანა იქნება, ავუხსნათ ბავშვებს, რით არის კარგი ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია.*

თუ ჩვენ შევაფასებთ ახალ ეროვნულ გეგმას, რომელიც 2011 წლიდან ამოქმედდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ორიენტირებულია საბუნებისმეტყველო საგნებზე, ასევე ორიენტირებულია იმაზე, რომ სასწავლო პროცესი უკეთ იყოს ორგანიზებული. ეს სასწავლო გეგმა საშუალებს მოგვცემს, როგორც დავპირდი საზოგადოებას, 2012 წლამდე სახელმძღვანელოს ყველა პრობლემა მოგვარდეს როგორც ხარისხის, ასევე ფასის თვალსაზრისით."

სპორტი

მსოფლიოს ჩემპიონი ქალი ჭიდაობაშიც გვყავს

თბილისმა პირველად უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა შორის, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი გუნდები – ახალგაზრდებმაც და ჭაბუკებმაც გუნდური პირველობა მოიგეს. ორივე ნაკრებმა ერთნაირი შედეგით დაასრულა ასპარეზობა – 4-4 ოქრო, თითო ვერცხლი და 3-3 ბრინჯაო. ქართული სამბოს ისტორიაში პირველად, ამ ტურნირში ქართველმა გოგონებმაც იჭიდავეს. მართალია, ყველა მათგანი ძიუდოისტია, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ წარმატებით გამოვიდნენ – 1 ოქრო და 3 ბრინჯაო მოიპოვეს. ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი წყნეთელი **ნინო ოძელაშვილი** (72) გახდა, ბრინჯაოს მედლები კი, ასევე ახალგაზრდებში, **შორენა შარაძემ** (64) და **დარინა აბულაძემ** (48) მოიპოვეს, ხოლო უმცროსებში – **ცირა აბულაძემ** (48), დარინა აბულაძის დამ ირგუნეს. ვაჟთა შორის ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ: ქუთაისელი **გენადი ჩირგაძე** (57), ახმეტელი **ვახტანგ სარაჯიშვილი** (82), მარნეულელი **ზაზა დავაძე** (90) და თბილისელი **ლევან მუქერია** (+100). ოქრომდე, სულ რაღაც, ორიოდ წამი დააკლდა გორელ **ზვიად კაპანაძესაც** (68), მაგრამ ასე დასანანი ქულა უყურადღებობით დაკარგა და ვერცხლს დასჯერდა, მესამეზე კი ფოთელი **გივი ნადარეიშვილი** (52), გორელი **გიორგი ტაბატაძე** (62) და გარდაბნელი **არჩილ შინჯიკაშვილი** (100) გავიდნენ.

ჭაბუკებში ჩემპიონობა იზეიმეს: ზუგდიდელმა **გიორგი კაციამ** (60), ქარელელმა **ლაშა გიუნაშვილმა** (56), კასპელმა **შმაგი შარიფაშვილმა** (75) და დმანისელმა **სლავა რეზესიძემ** (+87), ვერცხლის მედალი დედოფლისწყაროელმა **მიხეილ ჩოხელმა** მოიპოვა (70), ბრინჯაო – ქუთაისელმა **ლერი ჯიხვაშვილმა** (48), ბოლნისელმა **ბექა რატიანმა** (81) და დმანისელმა **ალექსანდრე მილდიანმა** (87).

აღსანიშნავია, რომ საჭიდაო სახეობებში ნინო ოძელაშვილი პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი ქალია – აქამდე მსგავსი წარმატება არავის მოუპოვებია. მან ნახევარფინალში შესანიშნავი გდებით დაამარცხა რუსი **ზანარა კუზანოვა**. საინტერესოა, რომ რუსებმა იმ დღეს მხოლოდ ეს ერთი შეხვედრა წააგეს, თორემ სხვა წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ. ოძელაშვილმა ფინალში ბელარუსი **ანჟელა მოროზოვა** პირწმინდად დაჩაგრა და 3:0 სძლია. ის ფიზიკურად ძალზე ძლიერია, ფინალში საჭიდაოდ კი აშკარად საბრძოლველად შემართული გავიდა და თავიდანვე შეუტია, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე. მას შიში და გამოუცდელობა ოდნავადაც არ ეტყობოდა. მართალია, რამდენჯერმე დაწყებული გდება ბოლომდე ვერ მიიყვანა – მეტოქე გაექცა, მაგრამ მშვენიერი მოგვერდ-კისრულებიც გააკეთა, გამარჯვება კი ორი ისეთი მალაყით აღნიშნა, ბევრი მოჭიდავე ვაჟი რომ ვერ გააკეთებს. *„ჩემპიონატისთვის კარგად ვიყავი მომზადებული და მჯეროდა, კარგი შედეგი მექნებოდა. ყოველ შემთხვევაში, შიშის ფაქტორი არ ყოფილა. ყველაზე მეტად ნახევარფინალში გამიჭირდა რუს მეტოქესთან, ფინალში კი საბრძოლო განწყობით გავედი. იმაზე არ ვფიქრობდი, მედალი ხომ მაინც არის და რაც იქნება, მოხდეს-მეთქი. პირიქით – ვფიქრობდი, რომ ფინალიც უნდა მომეგო და ასეთი განწყობით გავედი საჭიდაოდ. შინაგანადაც უფრო გახსნილი ვიყავი და არ მოგება გამჭირვებია“* – განაცხადა ჩემპიონმა ტურნირის დამთავრების შემდეგ.

ვაჟთა შორის ჩემპიონებიდან ყველა ქების ღირსია და ყველა – გამოსარჩევი, მაგრამ რამდენიმეს შემთხვევაში იყო განსაკუთრებულად გამოსარჩევი მომენტები. მაგალითად, რეზესიძე და სარაჯიშვილი შესამჩნევად აღემატებოდნენ სხვებს, საჭიდაო კლასში მათი უპირატესობა აშკარად იგრძნობოდა. მუქერიამ ძალიან კარგი ხასიათი გამოავლინა – შეუვალი, მტკიცე, ნებისყოფიანი. მან ნახევარფინალში ფეხი იტკინა და ფინალში კოჭლობით, ერთიანად შეხვეული ფეხით გავიდა. ერთ მომენტში, როცა ამ ნატკენ ფეხს დაეყრდნო, მოწყვეტითაც დაეცა ლეიბზე, მაგრამ ფიზიკურად ბევრად მაღალ მეტოქეს მაინც არაფერი დაუთმო. ტაქტიკაც სწორი აირჩია – მის მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის ილეთის გაკეთება და ტექნიკური ჭიდაობა წარმოუდგენელი იყო. ამიტომ უფრო ძალისმიერი სტილი აირჩია, რამაც გაამართლა – გამარჯვების ქულა მეტოქის გაფრთხილებებით მოიპოვა. ძალიან კარგად იჭიდავა კაციამაც, თუმცა არ ვამბობთ, რომ სხვებმა ცუდად იასპარეზეს. უბრალოდ, გარკვეული ფაქტორებით ესენი სხვებისგან გამოირჩეოდნენ.

დასასრულს გეტყვით, რომ ამ მედალოსანთაგან რამდენიმე, ორ კვირაში, ძიუდოისტთა ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც იჭიდავებს.

თეოდორამ ტრაბზონში ხმალი იშიშვლა

16 წლის ხმლით მოფარიკავე **თეოდორა კახიანი** წარმატებით გამოვიდა ტრაბზონში დასრულებულ „თურქეთის თასზე“, სადაც პირველობა არავის დაუთმო. მან ნახევარფინალში მასპინძელ **ოზდემ ალსანს** 15:12, ფინალში კი ასევე თურქ ჰილალ ბაჰჯეჯის 15:10 მოუგო. ამავე სახეობაში, ვაჟთა შორის, **ალექსანდრე ბაზაძე** მესამეზე გავიდა. ბრინჯაო მოიპოვა რაპირისტმა **თეონა გოგლიძემაც**, რომელიც სულ რაღაც ორი წელიწადია, ამ სახეობაში ვარჯიშობს, მაგრამ უკვე გუნდის ლიდერად იქცა.

უახლოეს ხანებში მათ ჭაბუკთა ევროპის პირველობა ელოდებათ.

გერმანელი საქართველოს ნაკრებში

იმ დროს, როცა ჩვენი ახალგაზრდა სპორტმენების უცხოეთში მიგრაცია ლამის შეუქცევად თავსატეხად გვექცა, დიდი შანსია, საპირისპირო მაგალითის მომსწრენი გავხდეთ – შესაძლოა, 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებში გერმანელმა **ლუკას ჰუფნაგელმა** ითამაშოს. ის დედით ქართველია და მიუნხენის „ბაიერნის“ აღზრდილია, აღნიშნულ ნაკრებში უკვე ითამაშა, მაგრამ არაოფიციალურ შეხვედრებში – პალანგას საერთაშორისო ტურნირში **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდს დაეხმარა და საუკეთესო ნახევარმცველის პრიზიც მიიღო. ახლა ლაპარაკია ოფიციალურ ტურნირზე – ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლზე, რომელიც 18 ოქტომბერს თბილისში დაიწყება. ჰუფნაგელის საკითხის მოგვარებას მხოლოდ საპასპორტო პრობლემები უშლის ხელს – მისთვის ქართული პასპორტის აღება გვიანდება, თუმცა ბოლო დღეებში ამ მხრივ დამაიმედებელი ინფორმაცია ვრცელდება – გერმანელს ჩამოსვლისთანავე დაახვედრებენ პასპორტს და შესარჩევში მონაწილეობაც ოფიციალურად შეეძლება. სწორედ საპასპორტო პრობლემების გამო გამოირიცხა გერმანიაში მცხოვრები ქართველის, „მიუნხენ-1860“ აღზრდილ **ლუკა ჩხაიძის** ამავე ნაკრებში დამატება. საქმე ისაა, რომ მისი მშობლები გერმანიის მოქალაქეები არიან, ჰუფნაგელის დედა კი ჯერაც საქართველოს მოქალაქეა.

შეგახსენებთ, რომ შესარჩევ ტურნირში ჩვენებურთა მეტოქეები ინგლისის, პოლონეთისა და შვედეთის გუნდები იქნებიან, ელიტ-რაუნდში კი ორი გამარჯვებული გადის.

წარმატებული სტარტი

საქართველოს 19-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებმა წარმატებული სტარტი აიღო პორტუგალიაში დაწყებულ ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფურ ეტაპზე – პირველ შეხვედრაში ბერძენ თანატოლებს 1:0 მოუგეს.

შედარებით მდორე და უინტერესო პირველი ტაიმის შემდეგ **ვლადიმერ გუცაევის** შეგირდები საგრძნობლად გამოცოცხლდნენ და მეორე ტაიმის პირველი წუთებიდან აქტიურად შეუტიეს მეტოქის კარს, თუმცა გოლი ვერა და ვერ გაიტანეს. თამაშში გადამწყვეტი ბოლო ათწუთეული გამოდგა, როცა ჩვენებურებმა ნამდვილი შტურმი მოუწყვეს ბერძნებს და საწადელსაც მიაღწიეს – 89-ე წუთზე ქართველთა რიგებში ყველაზე აქტიურმა **თორნიკე ოქრიაშვილმა** ჯარიმა დაარტყა, მაგრამ მეკარემ კუთხურზე მოიგერია. კუთხური **გიორგი ჩელებაძემ** მოაწოდა, რასაც ოქრიაშვილის გამარჯვების მომტანი გოლი მოჰყვა.

ამ მოგებით ჩვენი ნაკრები ჯერჯერობით ქვეჯგუფის ლიდერია, რადგან მეორე შეხვედრაში, სრულიად მოულოდნელად და გასაკვირად, მასპინძლებმა აზერბაიჯანელთა დამარცხება ვერ შეძლეს – 2:2. მოგება კი არა, ფრესაც რომ გამორჩნენ, მადლობელნი უნდა იყვნენ, რადგან 48-ე წუთისთვის 0:2-ს აგებდნენ, თამაშის გადარჩენა კი მხოლოდ 87-ე წუთზე შეძლეს.

მეორე ტურში ჩვენები სწორედ პორტუგალიელებს ეთამაშებიან. ალბათ, პირინეელები აზერბაიჯანული გაწბილების დავიწყებას ლიდერებთან ეცდებიან, მაგრამ ჩვენებმა თუ ისეთივე შემართებით ითამაშეს, წარმატების იმედი ნამდვილად უნდა გვქონდეს. ფაქტია, რომ ბერძნებთან მოგებით ფინალურ რაუნდში გასვლის კარგი შანსი მიიღეს.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.